პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТБ КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 158 (11162)

შაბათი, 12 ივლისი, 1958 წ.

ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი ბერლინიდან მოსკოვს გამოემგზავრა

ბერლინი, 11 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც მონაწილეობდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობის მუშაობაში, დღეს, როგორც ეს წინასწარ გათვალისწინებული იყო, „ტუ-104“ თვითმფრინავით ბერლინიდან მოსკოვს გაემგზავრა.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი აეროდრომზე გააცილეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, პოლიტბიუროს წევრმა ვ. ულბრიხტმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ო. გროტეოლმა და გ. რაუმ.

ნ. ს. ხრუშჩოვი გააცილეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრებმა ო. ვ. კუსინენმა, მ. გ. პერეგუდინმა, მ. ტ. ეფრემოვმა, [illegible] შაურომ, აგრეთვე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა მარშალმა რ. ი. მალინოვსკიმ, რომელიც დასასვენებლად იმყოფება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიაში საბჭოთა ჯარების [illegible] ძალების [illegible] არმიის გენერალმა მ. ვ. ზახაროვმა, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, საბჭოთა არმიის გენერლებმა.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრების შემდეგ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას სათავეში ჩაუდგება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ო. ვ. კუსინენი.

თეორიისა და პრაქტიკის განუყრელი ერთიანობისათვის

ბევრი უცხოელი მოღვაწე, რომლებიც საბჭოთა კავშირში ჩამოდიან და უშუალოდ ხედავენ მის ცხოვრებას, აღტაცებით ლაპარაკობს იმ დიდ შთაბეჭდილებაზე, რომელსაც მასზე ახდენს ჩვენი ქვეყნის მიერ ეკონომიკაში, კულტურაში, მეცნიერებაში, იდეოლოგიაში განხორციელებული სოციალისტური გარდაქმნები. ისინი აღნიშნავენ საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი პრაქტიკული საქმიანობის ფართო გაქანებას, მათი ენერგიის მიზანსწრაფვას მეცნიერული კომუნიზმის დიადი იდეების განსახორციელებლად.

მართლაც, საბჭოთა ქვეყანაში ახლა ფეთქავს მთელი მისი მატერიალური და სულიერი ძალები. მილიონთა ენთუზიაზმი, თავისუფალი შემოქმედებითი შრომა, რომელიც ძლევს ყველა დაბრკოლებას ახლის გზაზე, — აი რა ახასიათებს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებას. ძმური მეგობრობით გაერთიანებული საბჭოთა კავშირის ხალხები წარმატებით ასრულებენ კომუნისტური პარტიის XX ყრილობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს. აკეთებენ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის საქმეს. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, კოლმეურნეობრობის, ინტელიგენციის პრაქტიკულ საქმიანობაში, რომელნიც ახორციელებენ პარტიის მიერ შემუშავებულ ღონისძიებებს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, თავს იჩენს ნამდვილი ბრძოლა კომუნიზმისათვის, ცოცხალი და ქმედითი მარქსიზმ-ლენინიზმი.

თანამედროვე რევიზიონისტები, რომლებსაც თავი მოაქვთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამცველებად, ახლადდელ პირობებში სოციალისტური აზროვნების განვითარების მომხრეებად, ფაფფრებით ესხმიან თავს მარქსიზმ-ლენინიზმის ქმედითს მხარეს, მშრომელთა პრაქტიკულ საქმიანობას, რომელნიც კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით აშენებენ სოციალიზმს და კომუნიზმს. რევიზიონისტები ყოველნაირად ცდილობენ დააკნინონ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების საქმიანობა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტექნიკური პროგრესის ხელმძღვანელობის საქმეში, უწოდებენ მას „პრაქტიციზმს“, „პრაგმატიზმს“, „ტექნოკრატიას“ და სხვა დამცინავ ტერმინებს, რომლებიც ნასესხებია იმპერიალიზმის იდეოლოგთა ლექსიკონიდან. ისინი ცდილობენ თეორია დაუპირისპირონ რევოლუციურ პრაქტიკას და ამით დამახინჯებულად წარმოადგინონ მარქსიზმ-ლენინიზმი, დამახინჯონ მისი არსი.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებს მარქსსა და ენგელსს, როცა რევოლუციურ თეორიას ქმნიდნენ, იგი მუდამ მიაჩნდათ არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც მშრომელთა ფართო მასების სახელმძღვანელი კაპიტალიზმის ბორკილებისაგან განთავისუფლებისა და მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნისათვის ბრძოლაში. მარქსისტულ-ლენინური თეორია, რომელიც წარმოიშვა მუშათა კლასის ბრძოლის მსვლელობაში, ფეთქავდებოდა და ვითარდება პრაქტიკასთან განუყრელი კავშირით, პასუხს აძლევს კაცობრიობას უაღრესად საარსებო კითხვებზე, ეხმარება მშრომელებს ენონ სახალხო მეურნეობა სოციალისტურ საფუძველზე. მარქსიზმ-ლენინიზმი ფორმადგენს თეორიისა და პრაქტიკის განუყრელ ერთიანობას. პრაქტიკა, რომელიც გაშუქებული არ არის მოწინავე, რევოლუციური თეორიით, განწირულია ბნელეში სახეტიალოდ. მარქსისტულ-ლენინური თეორია მუშათა კლასს, მშრომელებს უნათებს სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკული ოცესების გადაჭრის გზებს. ამავე დროს პრაქტიკოდ თეორია მკვდარი და უნაყოფო ხდება, იქცევა ფუჭ დოქტრინიორობად.

ვ. ი. ლენინი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რა რევოლუციურ თეორიას, შემოქმედებითად ავითარებდა და ამდიდრებდა რა მას, ამასთან ერთად ერთგულ ბაზს უსვამდა პრაქტიკას პირველეს მნიშვნელობას. მალე დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როცა ჩვენი ქვეყნის წინაშე უშუალოდ დაისახა ახალი საზოგადოებისა და უწინარეს ყოვლისა მისი ეკონომიური საფუძვლის — სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის ამოცანები, იგი აღნიშნავდა: მუშებმა და გლეხებმა „უნდა გაიგონ, რომ ახლა მთელი საქმე პრაქტიკაა, რომ დადგა სწორედ ის ისტორიული მომენტი, როდესაც თეორია იქცევა პრაქტიკად, სულდგმულდება პრაქტიკით, სწორდება პრაქტიკით, მოწმდება პრაქტიკით, როდესაც განსაკუთრებით სწორია მარქსის სიტყვები: პრაქტიკული მოძრაობის ყოველი ნაბიჯი დუჟინ პროგრამაზე უფრო მნიშვნელოვანია...“

ჩვენმა პარტიამ, რომელიც შეიარაღებული მოწინავე რევოლუციური თეორიით, შემოქმედებითად იყენებს და ავითარებს რა მას, მშრომელთა მასები ამიარა რევოლუციური ბრძოლის პრაქტიკას, დარაზმა ისინი სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად. ამით მან შექმნა პირობები, როცა მუშებმა და გლეხებმა არა მარტო გონებით შეიგნეს, არამედ საკუთარი გამოცდილებითაც დარწმუნდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი მოძღვრების სისწორესა და სიცოცხლისუნარიანობაში პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც სათავეში ჩაუდგა მილიონთა პრაქტიკულ საქმიანობას, საბჭოთა ხალხმა განახორციელა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, მოახდინა კულტურული რევოლუცია, აშენა სოციალიზმი და ახლა წარმატებით წყვეტს კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებს.

საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ სოციალისტური მშენებლობის ყოველი პრაქტიკული საკითხი ამავე დროს არის აგრეთვე თეორიული საკითხი, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითს განვითარებასთან. ცნობილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, მისი ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების, დადგენილებათა უდიდესი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა. პარტიის მიერ ისეთ უდიდეს ღონისძიებათა განხორციელება, როგორიც არის მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპის, სოციალიზმისა და კომუნიზმში გადასვლის პირობებში ეკონომიკის მართვის ერთადერთი სწორი პრინციპის საფუძველზე, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარება და მტს-ების რეორგანიზაცია, სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის საკითხის გადაჭრა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების დადგენა, სახალხო მეურნეობის განმტკიცებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუჭობესების ინტერესებისათვის ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების დასახული პროგრამა — ყოველივე ეს წარმოადგენს არა მარტო პრაქტიკულ, არამედ თეორიულ საკითხებსაც.

სახავს და ამუშავებს რა ამ ახალ საკითხებს, რომლებსაც უდიდესი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისათვის, პოულობს რა მათი განხორციელების გზებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შეაქვს თავისი წვლილი ჭეშმარიტ ჩინეთისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს. ამის მკაფიო დადასტურებაა ჩინეთის კომუნისტური პარტიის სრულიად ჩინეთის VIII ყრილობის ამასწინათ გამართული მეორე სესია, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VII ყრილობა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XI ყრილობა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ამჟამად მიმდინარე V ყრილობა. რევოლუციური ბრძოლის თეორიას და პრაქტიკას ამდიდრებენ კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები.

შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთება, სოციალიზმის მშენებელი ხალხების კოლექტიური გამოცდილება აისახა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციაში. ხელმძღვანელობენ რა ამ საპროგრამო ისტორიული დოკუმენტით, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიები უხიზლად იცავენ მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმიდეს, თანმიმდევრულად და გადაჭრით ილაშქრებენ რევიზიონისტთა წინააღმდეგ, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ძირი გამოუთხაროს მუშათა კლასის ინტერნაციონალურ ერთიანობას, გათიშვა შეიტანოს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დიადი მაგალითი, რომლებიც პრაქტიკულად კაფავენ გზას კომუნიზმის სამყაროსაკენ, ზეგავლენას ახდენს და კიდევ უფრო მეტი მომზიდველობით მოახდენს ზეგავლენას მთელ მშრომელ კაცობრიობაზე. ახლა არა მარტო თეორიულად, არამედ თვით ცხოვრებით დადასტურდა, რომ კაპიტალიზმის შესაცვლელად მოვიდა ახალი, უფრო პროგრესული სოციალისტური საზოგადოება. იგი სწრაფად ვითარდება, წარმატებას აღწევს, გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიდის. მას ეკუთვნის მომავალი!

„პრავდის“ 11-VII მოწინავე.

მ ი მ ა რ თ ვ ა

სტავროპოლის მხარის კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშაკებმა და სპეციალისტებმა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი

სტავროპოლის მხარის კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების, სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშაკებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა მიმართეს საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს და მოუწოდეს ყოველი ღონისძიება მოახმარონ იმას, რომ თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდების საქმეში, უახლოეს წლებში დაეწიონ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

— ვიბრძვით რა ამ ამოცანების განხორციელებისათვის, — ნათქვამია მიმართვაში, — ჩვენ, სტავროპოლის მხარის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშაკები, ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ავიღოთ ყველა თავთავიანი მარცვლეულის მოსავალი ცალ-ცალკე შემჭიდროებულ ვადებში.

მოსავლის ასალი მანქანების მწარმოებლობის მაქსიმალური გადიდებისათვის ლაფეტიან სამკელებს გამოვიყენებთ ორ ცალად და უზრუნველვყოფთ სამკელებისა და კომბაინების ჯგუფობრივ მუშაობას. ფართოდ გამოვიყენებთ მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილებას — სამკელთა შეწყვილებულ მუშაობას, გავუკეთებთ რსმ-8 კომბაინებს ორ ამკრეფს, დავდგამთ ლაფეტებზე რსმ-8 კომბაინის ხელოვნებს და ამრიგად თვითეული სამკელის სადღეღამისო მწარმოებლობას ავიყვანთ სულ ცოტა 35 ჰექტარამდე, უზრუნველვყოფთ მომკილი პურეულის დროზე აღებასა და გალეწვას.

2. ვადამდე, არა უგვიანეს 10 აგვისტოსი, შევასრულოთ 78 მილიონი ფუთი პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. მივყიდოთ გეგმის გადამეტებით 22 მილიონი ფუთი, ხოლო სულ ჩავაბაროთ სახელმწიფოს 100 მილიონი ფუთი პური, აქედან ყალმუხეთის ავტონომიურ ოლქში 7 მილიონი ფუთი და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში — 3,8 მილიონი ფუთი. ამასთან ჩაბარებულ და გაყიდულ იქნება საშუალოდ ჰექტარზე სულ ცოტა 60 ფუთი.

3. თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში საჭირო რაოდენობით შევინახოთ ყველა კულტურის სათესლე ფონდები, უზრუნველვყოთ კოლმეურნეებისათვის პურის გაცემა შრომადღეებზე და გამოვყოთ საჭირო რაოდენობით კონცენტრირებული საკვები საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის.

4. გულმოდგინედ მოვუაროთ სიმინდის, სხვა სათოხნი და ტექნიკური კულტურების ნათესებს. მთელ ფართობზე მოვიყვანოთ სიმინდის მარცვლისა და მწვანე მასის უხვი მოსავალი. ფართო მასშტაბით დავთესოთ ნაწვერალზე სიმინდი და სხვა კულტურები.

5. ვადამდე შევასრულოთ მატყლის, ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადების სახელმწიფო გეგმები. მივყიდოთ სახელმწიფოს 30 ათასი ცენტნერით მეტი მატყლი, ვიდრე ჩაბარებული იყო 1957 წელს.

6. თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შევასრულოთ თივისა და სხვა უხეში საკვების დაგროვების გეგმები, შევქმნათ თივის საჭირო სადაზღვევო მარაგი სამომთბარო საძოვრებზე და დროულად მივზიდოთ საკვები პირუტყვის გამოზამთრების ადგილებზე. პურეულის მკასთან ერთად უზრუნველვყოთ მინდვრად ნამჯის აღება და დაზვინვა.

7. უზრუნველვყოთ კეთილხარისხოვანი სილოსით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეცხოველეობა. დავამზადოთ სილოსი სულ ცოტა 5 მილიონი ტონა, ანუ შარშანდელზე 2,5-ჯერ მეტი. ეს იქნება 15 ტონა თითო ძროხაზე, 4 ტონა დედაღორზე და 2,5 ცენტნერი თითო ცხვარზე.

8. მომავალი წლის უხვ მოსავალს რომ კარგი საფუძველი ჩავუყაროთ, ამისათვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დავთესავთ საშემოდგომო კულტურების რჩეულ ჯიშიან თესლს ვიწრო მწკრივებად და ჯეარდინად და უზრუნველვყოფთ საკმაზფხულო თესლის მთელი ფართობის მზრალად მოხვნას.

მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს — გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, ფართოდ დავნერგოთ პურეულის მოსავლის ცალ-ცალკე აღების პროგრესული წესი, ვადამდე და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შევასრულოთ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმები.

ყოველ ღონეს ვიხმართ ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისა და განმტკიცებისათვის!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირის კანონთა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებათა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და დადგენილებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის საკითხი და მიიღო ბრძანებულება ამ საკითხზე.

სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა გამოქვეყნების საქმის მოსაწესრიგებლად და მათი ძალაში შესვლის ვადების დასაზუსტებლად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამ ბრძანებულებით დაადგინა, რომ სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი და სხვა აქტები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი უნდა გამოქვეყნდეს „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ მოკავშირე რესპუბლიკათა ენებზე არა უგვიანეს შვიდი დღისა მათი მიღების შემდეგ.

ზემოაღნიშნულთაგან უმნიშვნელოვანესი აქტები, რომლებიც ფართოდ და დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს, იბეჭდება სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების გაზეთ „იზვესტიაში“.

საჭირო შემთხვევებში ეს აქტები შეიძლება გამოქვეყნდეს აგრეთვე რადიოთი ან გადაიცეს ტელეგრაფით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი, რომელთაც საერთო მნიშვნელობა და ნორმატიული ხასიათი არა აქვთ, ეგზავნებათ შესაბამის უწყებებსა და დაწესებულებებს და ისინი გააცნობენ იმ პირთ, ვისზედაც ვრცელდება ამ აქტების მოქმედება. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ეს აქტები შეიძლება არ გამოქვეყნდეს.

ხელშეკრულებანი, შეთანხმებანი და კონვენციები, რომლებსაც სსრ კავშირი დადებს უცხო სახელმწიფოებთან და რომლებიც დამტკიცდება დადგენილი წესით, და შესაბამისი ბრძანებულებანი რატიფიკაციის შესახებ ქვეყნდება „უწყებებში“ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგენებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი და სხვა აქტები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი საერთო ნორმატიული ხასიათისა ძალაში შედიან სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე ერთსა და იმავე დროს მას შემდეგ, რაც ათი დღე გავა მათი გამოქვეყნებიდან „იზვესტიაში“ ან „უწყებებში“, თუ თვითონ აქტებში არ არის აღნიშნული მათი ძალაში შესვლის სხვა ვადა; აქტები, რომლებიც ფართოდ და დაუყოვნებლივ უნდა გამოქვეყნდეს და რომლებიც დაიბეჭდა სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების გაზეთ „იზვესტიაში“, ძალაში შედის გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებიდან ათი დღის გასვლის შემდეგ.

ყველა სხვა აქტი, რომელთაც საერთო ნორმატიული ხასიათი არა აქვთ, ძალაში შედის მათი მიღების მომენტიდან, თუ თვითონ აქტებში არ არის აღნიშნული მათი ძალაში შესვლის სხვა ვადა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი, რომლებიც პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით არ ქვეყნდება როგორც ისეთები, რომელთაც არა აქვთ საერთო მნიშვნელობა და ნორმატიული ხასიათი, ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა მათ მიიღებენ შესაბამისი უწყებები და დაწესებულებანი, თუ თვითონ აქტებში არ არის აღნიშნული მათი ძალაში შესვლის სხვა ვადა.

ამ ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ძალადაკარგულად ცნო ამ საკითხზე წინათ მიღებული მთელი რიგი აქტები და რადგან ამ აქტებით გათვალისწინებული იყო სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესი, პრეზიდიუმმა დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაადგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესი.

მირზა ფატალი ახუნდოვის ძეგლის გახსნა

დიდი გამოცოცხლება იყო 10 ივლისს თბილისის ბოტანიკურ ბაღში. აქ შეიკრიბნენ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები, სტუმრები მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებიდან. ისინი მოვიდნენ აქ საზეიმო მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა აზერბაიჯანელი ხალხის დიდი შვილის, აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსის მირზა ფატალი ახუნდოვის ძეგლის გახსნას.

მიტინგი გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. მელაძემ.

ძეგლს მოხსნეს საბურველი და დამსწრეთ თვალწინ წარმოუდგათ მირზა ფატალი ახუნდოვის ბრინჯაოს ბიუსტი. იგი დადგმულია გრანიტის კვარცხლბეკზე. ძეგლის ავტორები არიან მოქანდაკე კ. მერაბიშვილი და არქიტექტორი კ. ნახუცრიშვილი.

მიტინგზე გამოვიდნენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მდივანი ს. ჭილაია, აზერბაიჯანელი მწერლების სახელით პოეტი მამედ რაგიმი, სომხეთის მწერლების სახელით გურგენ ბორიანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე და თბილისის აზერბაიჯანელ მცხოვრებთა სახელით პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი შ. გამიდოვა. (საქდესი).

სურათზე: მირზა ფატალი ახუნდოვის ძეგლის გახსნა თბილისში. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბიტერფელდი, 9 ივლისი. (საკდესი). დღევანდელი დღის განმავლობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, გაეცნო ჰალეს ოლქის მშრომელთა ცხოვრებასა და მუშაობას. დილით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ავტომანქანებით წავიდა ქ. ბიტერფელდში.

მოგზაურობის დროს ოლქის მოსახლეობა ყველგან გულითადად ხვდებოდა საბჭოთა სტუმრებს. ბიტერფელდში მიმავალი ნ. ს. ხრუშჩოვი და დელეგაციის წევრები ესაუბრნენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის „ნოილანდის“ გლეხებს.

ელექტროქიმიურ კომბინატში გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა. საამქროების დათვალიერების შემდეგ კომბინატის კულტურის სასახლეში გაიმართა კრება, რომელსაც დაესწრო ჰალეს ოლქში განლაგებული ქიმიური საწარმოებისა და მანქანათმშენებელი ქარხნების კოლექტივთა დაახლოებით ათასი წარმომადგენელი.

კრება განსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. კენენმა.

„ლეინა-ვერკეს“ საწარმოთა დირექტორმა შირლერმა ილაპარაკა ამოცანებზე, რომლებიც დგას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის წინაშე.

კრების მონაწილეებს ვრცელი სიტყვით მიმართა ნ. ს. ხრუშჩოვმა. სიტყვის დროს არა ერთხელ გაისმა მქუხარე ტაში.

★ ★ ★

ბერლინი, 10 ივლისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ, რომელიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობას ესწრება, გვირგვინით შეამკო გერმანიის მუშათა მოძრაობის მებრძოლთა ძეგლი ფრიდრიჰსვალდეს სასაფლაოზე. გვირგვინით შემკობის ცერემონიაში მონაწილეობდნენ ნ. ს. ხრუშჩოვი, ო. ვ. კუსინენი, მ. გ. პერეგუდინი და დელეგაციის სხვა წევრები.

შემდეგ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრები იყვნენ ტრეპტოვ-პარკში, სადაც გვირგვინით შეამკეს დაღუპული საბჭოთა მეომრების ძეგლი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობაზე

ბერლინი, 10 ივლისი. (საკდესი). დღეს ბერლინში გაიხსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობა. ყრილობა გახსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ულბრიხტმა.

ყრილობას ესწრებიან 46 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენელნი, და მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი. დელეგატები ქუხარე ტაშით მიესალმნენ სტუმრებს.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: ბრძოლა მშვიდობის უზრუნველყოფისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის (მომხსენებელი ვალტერ ულბრიხტი); ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენება; კამათი წერილობითი სახით წარმოდგენილი ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა და მოხსენების გამო; ვ. ულბრიხტის საბოლოო სიტყვა; ცენტრალური ორგანოების არჩევნები; ს. გროტეოლის საბოლოო სიტყვა.

ყრილობის გახსნის ცერემონიას დაესწრო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ვილჰელმ პიკი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „ბრძოლა მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვების უზრუნველყოფისათვის“ მოხსენება გააკეთა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ულბრიხტმა.

ბერლინი, 11 ივლისი (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობის 10 ივლისის საღამოს სხდომაზე გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის (რომელიც დარიგდა წერილობით) გამო და ვ. ულბრიხტის მოხსენების გამო კამათის დროს პირველმა ილაპარაკა სოციალისტურ ფრონტის გმირმა ე. ზაიფერტმა ქალაქ კარლ-მარქს-შტადტიდან. მან თავისი სიტყვა მიუძღვნა შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხებს. დელეგატმა გ. დრევსმა ზემლოველმა (როსტოკის ოლქი) გლეხმა, რომელიც შარშან შევიდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივში, ყრილობის ტრიბუნიდან მოუწოდა ყველა მშრომელ გლეხს მიბაძონ მის მაგალითს. კამათის დროს გამოვიდნენ აგრეთვე დელეგატები გ. ზიუპტიცი (ქალაქი რიზა) და ხ. ლინდერი (მაგდებურგის ოლქი).

ყრილობის დღევანდელი დილის სხდომის გახსნისას თავმჯდომარე გ. რაუმ ყრილობის სახელით მონოღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის დელეგაციას, რომელიც პრეზიდიუმში იმყოფება, მიმართა მონოღოლი ხალხისადმი მისალმების სიტყვებით მონოღოლეთის სახალხო რევოლუციის 37 წლისთავთან დაკავშირებით.

შემდეგ გ. რაუმ სიტყვა მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს. დარბაზში მქუხარე ოვაცია გაიმართა. დელეგატები ფეხზე მდგომნი მიესალმებიან ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს. (ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში).

საბჭოთა მთავრობის სამახსოვრო ბარათი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

9 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრია გრომიკომ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს მოსკოვში ლ. ე. ტომპსონს გადასცა საბჭოთა მთავრობის სამახსოვრო ბარათი, რომელიც არის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის 30 ივნისის სამახსოვრო ბარათის პასუხი ექსპერტთა ჟენევის თათბირის საკითხზე.

საბჭოთა ბარათში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა თავს არიდებს გარკვეულ პასუხს კითხვაზე, თანახმაა თუ არა იგი, რომ ექსპერტთა შეხვედრა უნდა დაექვემდებაროს იმ ამოცანის გადაწყვეტას, რომ ყველგან და დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა.

რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ექსპერტთა მუშაობას არ უკავშირებს იმ მთავარ მიზანს, რომ ყველგან და დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომური და წყალბადის იარაღის ექსპერიმენტული აფეთქება, საბჭოთა ბარათში ხაზგასმით არის აღნი

დამზადების ახალი წესი, ერთიანი შესასყიდი ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდის მძლავრი ბერკეტია

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი პარტიული და საბჭოთა მუშაკების აქტივის მონაწილეობით. პლენუმმა მოისმინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. **მჟავანაძის** მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“.

— კოლმეურნე გლეხობა, მთელი საბჭოთა ხალხი, თქვა ამხ. მჟავანაძემ, — აღფრთოვანებით და მხურვალე მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას „სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურალურ-ანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ“. დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, რომლებიც დაწვრილებით ჩამოყალიბებული და დასაბუთებულია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ. ისინი მოასწავებენ ახალ დიდ წვლილს პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ზრდისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლის საქმეში, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის — კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობის ურყევი საფუძვლის განმტკიცებაში.

დამზადების ახალი სისტემის შემოღება და ერთიანი დასამზადებელი ფასების დაწესება განუსაზღვრელ შესაძლებლობებს ქმნის სოფლის მეურნეობაში არსებული უდიდესი რეზერვების გამოყენებისათვის, დიდ უპირატესობებს აძლევს კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს, აძლიერებს მათ დაინტერესებას სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სულ უფრო მზარდი გადიდებით. კოლმეურნეობებს შექმნილი აქვთ მეტად ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ რაციონალურად გამოიყენონ მიწა და ტექნიკა, შეამცირონ შრომისა და მატერიალური სახსრების ხარჯვა პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე.

ღონისძიებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა შეიმუშავა, დაგვეხმარებიან წარმატებით გადავჭრათ სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხი. ამას, როგორც ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში იყო აღნიშნული, პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ჩვენს რესპუბლიკასთან. საქართველოს ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობები საშუალებას გვაძლევენ ფართოდ განვავითაროთ ტექნიკური კულტურები, ვაწარმოოთ მეტი ჩაი, ყურძენი, ხილი, თამბაქო, ეთერზეთოვანი და სხვა კულტურები. მაღალი მთის რაიონებს — წალკის, ყაზბეგის, თიანეთის, ბოგდანოვკის, ლენინგორის, ჯავის, ხულოს, შუახევისა და ზოგიერთ სხვა რაიონს, რომლებიც მეცხოველეობას მისდევენ, შეუძლიათ ფართოდ განავითაროონ და კიდევაც უნდა განავითაროონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

ტექნიკური კულტურების განვითარებას საქართველოში დიდი ყურადღება ექცევა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ განიხილეს ჩაის მეურნეობის მდგომარეობა ჩვენს რესპუბლიკაში და დასახეს ჩაის წარმოების შემდგომი გადიდების ღონისძიებანი. 1965 წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებამ უნდა შეადგინოს 170 ათასამდე ტონა. უახლოესი შვიდი წლის განმავლობაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა გავაშენოთ 18 ათასი ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაციები, განვახორციელოთ გამეჩხერებული პლანტაციების რემონტი, დიდი ჰიდრომელიორაციული სამუშაოები. გადაწყვეტილია თბილისსა და ქუთაისში აიგოს ორგანული სასუქის ქარხნები, რათა ეს სასუქი უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ჩაის პლანტაციებში. ჩვენმა სამეცნიერო-საკვლევმა და საკონსტრუქტორო დაწესებულებებმა რაც შეიძლება მოკლე ვადაში — 2-3 წელიწადში — უნდა შექმნან ჩაისსაკრეფი და სხვა თვითმავალი მანქანებისა და კიდული იარაღების ახალი სრულყოფილი კონსტრუქციები, გაუმჯობესონ არსებული ტექნიკა ისე, რომ განახორციელონ ჩაის პლანტაციების დამუშავების მაქსიმალური მექანიზაცია. საქართველოში ჩაის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის საკავშირო მთავრობამ გამოჰყო რამდენიმე ასეული მილიონი მანეთი. მეჩაიეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, აგრეთვე ჩაის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულონ პარტიისა და მთავრობის დავალებანი — გაადიდონ ჩაის წარმოება, გაუმჯობესონ მისი ხარისხი.

მოხსენებაში დაწვრილებით იყო აღნიშნული მიმდინარე სამუშაოების მსვლელობა ჩაის პლანტაციებში. ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა შარშანდელზე უკეთ მიმდინარეობს. 1 ივლისისათვის კრეფის 2 თვის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 58 ათასი ტონა ფოთოლი ორი თვის გეგმით გათვალისწინებული 57 ათასი ტონის ნაცვლად, ანუ, დაახლოებით, 10 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასულ წელს ამავე დროისთვის. ჩაის ფოთლის კრეფა კარგად მიმდინარეობს აფხაზეთში, აჭარაში, მახარაძისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში და არაკეთილი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი ვიქონიოთ, რომ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა წარმატებით არ იქნება შესრულებული.

ფოთლის წარმატებით კრეფა შედეგია ამ ბოლო დროს შესრულებული მუშაობისა ჩაის პლანტაციებში შრომის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად, ჩაის მოყვანის აგროტექნიკის დასაცავად, ჩაის მკრეფავთა მატერიალური დაინტერესების გასაძლიერებლად. ხოლო იქ, სადაც ამ საკითხებს არ ექცეოდა სიჯმაო ყურადღება, შედეგები არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. მაგალითად, აბაშის, ცხაკაიის, გეგეჭკორის რაიონებმა ჩაის ფოთლის კრეფის ორი თვის გეგმა მხოლოდ იმიტომ ვერ შეასრულეს, რომ ამ რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ არის მოგვარებული პლანტაციების მოვლა, არაორგანიზებულად წარმოებს ჩაის ფოთლის კრეფა.

შემდეგ ამხ. მჟავანაძემ ილაპარაკა ახალ დასამზადებელ ფასებზე. სოფლის მეურნეობის მთელი რიგი პროდუქტების, მაგალითად, მარცვლეულის, ზეთოვანი და ეთერზეთოვანი კულტურების, შაქრის ჭარხლის, აბრეშუმის პარკის, დაუფერმენტებელი თამბაქოს, მეცხოველეობის პროდუქტების ახალი შესასყიდი ფასები, — თქვა მან, — დაწესდა საკავშირო მთავრობამ. ყველა დანარჩენი პროდუქტის მიმართ, რომლებიც საქართველოში მოგვყავს, ხოლო ასეთი პროდუქტები ძალიან ბევრია, ერთიან შესასყიდ ფასებს აწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი კულტურაა ციტრუსები. ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება წლითიწლობით მატულობს. თუ 1953 წელს დავამზადეთ 18 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, გასულ წელს დავამზადეთ 24 ათასამდე ტონა. საჭიროა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება ისე მოვაწყოთ, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვადასხვა ორგანიზაციისა და კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთების მთელი პროდუქცია მიდიოდეს სახელმწიფო დამამზადებელი არხებით.

სუბტროპიკული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა გაუმჯობესონ ციტრუსოვანთა პლანტაციების მდგომარეობა, აღადგინონ დანაკლისი ნარგავები, გაადიდონ მანდარინის ფართობები, გაზარდონ ნაყოფის მთლიანი მოსავალი. ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციები ძირითადად უნდა გაშენდეს აჭარაში, აფხაზეთში, მახარაძის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ხობისა და ცხაკაიის რაიონებში საუკეთესო, ცივი ქარებისაგან დაცულ ნაკვეთებზე.

ჩვენი ქვეყნის კვების მრეწველობა და მოსახლეობა დიდ მოთხოვნას აყენებენ დაფნის ფოთოლზე. შარშან რესპუბლიკაში დამზადდა 883 ტონა ხმელი დაფნის ფოთოლი, მაშინ როცა გეგმა ითვალისწინებდა 450 ტონას, მაგრამ ეს რაოდენობაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამავე დროს დაფნის ფოთლის მნიშვნელოვანი ნაწილი არ მზადდება სახელმწიფო წესით და მისი რეალიზაცია ძერძოდ ხდება. ამას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს. დაფნის ფოთლის მთელი მოსავალი უნდა დამზადონ სახელმწიფო ორგანიზაციებმა. დაფნის ფოთლის მაღალი დასამზადებელი ფასები სტიმულს იძლევა შემდგომ განვითარდეს კეთილშობილი დაფნის კულტურა, უზრუნველყოფს კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის დიდი შემოსავლის მიღებას.

მომხსენებელმა დიდი ყურადღება დაუთმო მევენახეობის შემდგომ განვითარებას.

— საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობამ, — თქვა მან,— დასახა ამოცანა—ვენახების ფართობი 1965 წლისათვის აყვანილ იქნეს 120 ათას ჰექტარამდე. ეს ნიშნავს, რომ 7 წლის განმავლობაში ჩვენ უნდა გავაშენოთ 52 ათასი ჰექტარი ახალი ვენახები, ე. ი. თითქმის გავაორკეცოთ ვენახების არსებული ფართობი. მევენახეობის განვითარების სწრაფი ტემპი მთელი სერიოზულობით აყენებს ვაზის სადედე-სანერგე მეურნეობის ჯეროვანი მოწყობის საკითხს. მაგრამ ჩვენში წლითიწლობით არ სრულდება საძირე ვაზის სადედეების გაშენებისა და ვაზის მყნობის გეგმები. ცუდად არის საქმე არსებული სადედეებისა და სანერგეების მოვლა, ბევრ მხრივ, რის გამო საძირე მასალისა და პირველხარისხოვანი ნამყენი ნერგების გამოსავალი მეტისმეტად დაბალია. ვენახის გაშენება, როგორც წესი, უნდა ვაწარმოოთ ნამყნობი სანერგე მასალით. ვაზის საკუთარი ფესვით დარგვა შეიძლება ვაწარმოოთ მხოლოდ სუფრის ჯიშებისა და არავითარ შემთხვევაში მევენახეობის მეურნეობებში, რომლებიც იძლევიან მასალას მაღალხარისხოვანი ღვინოებისათვის. ამ მეურნეობებში მთლიანად უნდა განხორციელდეს არასაკუთარი ფესვით დარგვის მეთოდი, რომელიც დიდ ეფექტს იძლევა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ უნდა მიიღოს ღონისძიებანი, რათა გაფართოოს ხარისხობრივი ღვინოების გადასამუშავებელი და შესანახი ბაზები, აღჭურვოს ღვინის ქარხნები თანამედროვე მოწყობილობით.

— საქართველოს სოფლის მეურნეობაში, — თქვა მომხსენებელმა, — მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა უკავია მებაღეობას ჯიშიანი ხილის მდიდარი შემადგენლობით. ბაღების ფართობი 1965 წელს აყვანილი იქნება 140 ათას ჰექტარამდე.

უკანასკნელ წლებში მეხილეობის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა რამდენადმე გაუმჯობესეს ბაღების მოვლა, კაკლეულმა რაიონებმა გაადიდეს მოსავლიანობა. შარშან სამხრეთ ოსეთში საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 66,6 ცენტნერი თესლოვანი ხილი, გორის რაიონში — 45 ცენტნერი. მოწმენაე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კიდევ უფრო მეტი მოსავალი მიიღეს. ბრეთის საბჭოთა მეურნეობაში თესლოვანი ხილის მოსავალმა ჰექტარზე შეადგინა 109 ცენტნერი, ხოლო გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობაში — 124 ცენტნერამდე. ამავე დროს მთელ რიგ რაიონებში ბაღების მოსავლიანობა ჯერ კიდევ მცირეა.

დამამზადებელი ორგანიზაციები და საკონსერვო ქარხნები ვერ უზრუნველყოფენ ხილის მასის მიღებასა და გადამუშავებას. ამის გამო შარშან მცხეთის, გორის, ლანჩხუთის, ვანის რაიონების ბევრ კოლმეურნეობაში, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში გაფუჭდა ვაშლი, მსხალი და სხვა ხილი. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა სანიმუშოდ დავამთავროთ ხილის დამზადება, დავნერგოთ ვაშლის, მსხლის, ქლიავისა და სხვა ხილის გადამუშავების პროგრესული ხერხები, კერძოდ გამოვიყენოთ მანქანები ხილის კალიბრებისათვის.

არსებითი წარმატებანი მოიპოვეს რესპუბლიკის მეთამბაქოეობის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც 1942 წელთან შედარებით თამბაქოს მოსავალი გაადიდეს 2,3-ჯერ. 2800 ჰექტარით გაიზარდა ამ უკანასკნელ ორ წელს თამბაქოს ფართობი.

— მაგრამ, —ხაზგასმით აღნიშნა ამხ. მჟავანაძემ, — ეს როდი ნიშნავს, რომ თამბაქოს საქმე ჩვენში ყველგან კარგად არის. მეთამბაქოეობის ისეთი დიდი რაიონები, როგორიც არის მარნეულისა და ბოლნისის რაიონები, უკანასკნელ წლებში სისტემატურად ვერ ასრულებდნენ სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების გეგმებს. შარშანდელი მოსავლიდან მარნეულის რაიონმა სახელმწიფოს დააკლო 500 ტონაზე მეტი თამბაქო, ხოლო ბოლნისის რაიონმა — დაახლოებით 100 ტონა. ამ რაიონებში გეგმების შეუსრულებლობა გამოწვეულია აგროტექნიკის წესების უხეში დარღვევით, განსაკუთრებით მოსავლის აღების პერიოდში. აქ ჩვეულებრივი მოვლენა გახდა მინდორში ფოთლების მასობრივი გადახურება და გახმობაც კი. რესპუბლიკის კოლმეურნეობები, რომლებმაც დიდი ვალდებულებები იკისრეს სახელმწიფოსათვის თამბაქოს მიყიდვის დარგში, მათ შესრულებას მხოლოდ იმ პირობით შეძლებენ, თუ გულდასმით მოუვლიან პლანტაციებს, უდანაკარგოდ აიღებენ მოსავალს და სწორად მოაწყობენ მოსავლის აღების შემდეგ თამბაქოს დამუშავებას. დასამზადებელი ფასების გადიდება დიდმნიშვნელოვანი სტიმულია გაზაფხულის არანელსაყრელი პირობების შედეგების წარმატებით დაძლევისა და მთელ ფართობებზე უხვი მოსავლის მიღებისათვის.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო ხორცის, რძის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების, პირუტყვის, განსაკუთრებით ძროხის, სულადობის ზრდის საკითხებს. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები ჩაბმული არიან შეჯიბრებაში, რათა წარმატებით განახორციელონ კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ერთგვარი წარმატება მოიპოვეს მეცხოველეობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში. მთლიანი წველადობა კოლმეურნეობებში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე გაიზარდა 87 ათასი ტონიდან 150 ათას ტონამდე, ხოლო თითო ძროხის საშუალო წველადობა — 531 კილოგრამიდან 1002 კილოგრამამდე.

— ამასთან ერთად, — თქვა ამხ. მჟავანაძემ, — ჩვენ ჩამოვრჩებით ხორცის წარმოებაში. თუ კოლმეურნეობების ყოველ 100 ჰექტარ მიწის საკარგულზე რძის წარმოება სამი წლის მანძილზე გაიზარდა 34 ცენტნერიდან 69 ცენტნერამდე, ხორცის წარმოება, პირიქით, შემცირდა 20 ცენტნერიდან 17 ცენტნერამდე.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში გაიზარდა 32 ათასით, ამავე დროს ძროხის სულადობა შემცირდა 6,5 ათასით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება სადედე სულადობისა და ხბოების დაკვლის აკრძალვის შესახებ, რათა შეიცვალოს ძროხების ნაკლებობა კოლმეურნეობებში.

ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახულია დიდი ამოცანა — უახლოეს 3-4 წელიწადში მკვეთრად გავადიდოთ ხორცისა და რძის წარმოება. მთელ რიგ რაიონებში არის პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდის, მეწველი ჯოგის სულადობის გადიდების დიდი გამოუყენებელი რეზერვები. ეს რეზერვები მთლიანად უნდა გამოვიყენოთ.

— პირველმა წარმატებებმა წველადობის გადიდებაში, — განაგრძო ამხ. მჟავანაძემ, — როგორც ჩანს ზოგიერთ ამხანაგში გამოიწვია თვითდამშვიდება. წელს თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობამ უნდა შეადგინოს 1500 კილოგრამი. ამის შესაბამისად 1 ივლისისათვის უნდა მოწველილიყო სულ ცოტა 800 კილოგრამი რძე თვითეულ ძროხაზე, ფაქტიურად კი მოწველილია 600 კილოგრამი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მეცხოველეობისაგან დიდი შემოსავლის მიღება პირდაპირ დამოკიდებულია წარმოებული ხორცის, რძის, მატყლისა და სხვა პროდუქტების რაოდენობაზე. დიდი წველადობისათვის ბრძოლასთან ერთად უნარიანად უნდა მოვაწყოთ პირუტყვის გასუქება და სახელმწიფოს მივყიდოთ მხოლოდ მსუქანი პირუტყვი. ამ ბოლო დროს ჩვენში დიდი მუშაობა შესრულდა მეფრინველეობის დარგში. ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ საქმიანად მოჰკიდა ხელი ფრინველის მოშენებას, ინერგება კვერცხმდებელი ქათმების მოვლა-შენახვის პროგრესული ხერხები. მაგრამ ის, რაც გაკეთებულია, არ შეიძლება საკმარისად მივიჩნიოთ. ჩვენ ყველა შესაძლებლობა, ყველა პირობა გვაქვს, რომ ფართოდ მოვაშენოთ ფრინველი, მათ შორის წყლის ფრინველი.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაზე, რომელშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს სიმინდი. მან რაიონის ხელმძღვანელთა ყურადღება გაამახვილა მარცვლეული თავთავიანი კულტურების მოსავლის უდანაკარგოდ და სწრაფად აღების უზრუნველყოფაზე, ყველა მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს სანიმუშოდ დამთავრებაზე.

—პარტიული, საბჭოთა, პროფლი მეურნეობანი, მნიშვნელოვნად გაადიდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება. კოლმეურნეობათა მინდვრებში დამწიფდა თავთავიანი კულტურების კარგი მოსავალი, ისეთი პურეული, როგორიც ახლაა, ოლქის კოლმეურნეობებს დიდი ხანია არა ჰქონიათ. წელს კოლმეურნეობები პურეულის მოსავალს უმთავრესად ცალცალკე აიღებენ. ამ ხერხით მოსავლის აღების პირველმა დღეებმა სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში საუცხოო შედეგები მოგვცა. წარსულ წლებზე გაცილებით უკეთ მიმდინარეობს სიმინდის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილისა და სხვა კულტურების დამუშავება.

საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის მდივანმა ამხ. **ი. ურუშაძემ** უამბო დამსწრეთ, თუ რა მუშაობა მიმდინარეობს რაიონში, რათა მშრომელებს გააცნონ და განუმარტონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება. ამ მუშაობას პლანტაციებსა და ფერმებში ასობით აგიტატორი და აქტივისტი ეწევა. რაიონის მშრომელები პარტიის ღონისძიებათა პასუხად ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ. ისინი ცდილობენ დაძლიონ ჩამორჩენა ჩაის ფოთლის კრეფაში, შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვაში.

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **ზ. კეცხოველმა** აღნიშნა, რომ ახალ პირობებში საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს დამამზადებელი ორგანოების მუშაობა, მოწესრიგდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიღება და გადამუშავება. უკეთ მოეწყოს კოოპერაციული ვაჭრობა. მას მიზანშეწონილად მიიჩნია მოისპოს კოლმეურნეობებსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელ საწარმოთა შორის არსებული შუალედური საწყობები, პუნქტები და სხვ.

პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში დიდი ადგილი დაეთმო მეცხოველეობის, იმ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის სოფლის მშრომელთა ბრძოლის საკითხებს, რომ უახლოეს ხანში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძის, კარაქის წარმოების მხრივ.

— სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი პირობები მხურვალედ მოიწონა ყველა კოლმეურნემ, — თქვა საქართველოს კომპარტიის წევრმა რაიკომის მდივანმა ამხ. **ა. მაკაროვმა**—საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება. ამ მუშაობას ასობით აგიტატორი და აქტივისტი ეწევა. რაიონის მშრომელები პარტიის ღონისძიებათა პასუხად ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ. ისინი ცდილობენ დაძლიონ ჩამორჩენა ჩაის ფოთლის კრეფაში, შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვაში.

ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **ზ. კეცხოველმა** აღნიშნა, რომ ახალ პირობებში საჭიროა მკვეთრად გაუმჯობესდეს დამამზადებელი ორგანოების მუშაობა, მოწესრიგდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიღება და გადამუშავება. უკეთ მოეწყოს კოოპერაციული ვაჭრობა. მას მიზანშეწონილად მიიჩნია მოისპოს კოლმეურნეობებსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელ საწარმოთა შორის არსებული შუალედური საწყობები, პუნქტები და სხვ.

პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში დიდი ადგილი დაეთმო მეცხოველეობის, იმ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის სოფლის მშრომელთა ბრძოლის საკითხებს, რომ უახლოეს ხანში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძის, კარაქის წარმოების მხრივ.

— სოფლის მეურნეობის პროდუქტების ახალი პირობები მხურვალედ მოიწონა ყველა კოლმეურნემ, — თქვა საქართველოს კომპარტიის წევრკანდიდატმა, ოზურგეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. **შ. მანელიშვილმა**.

— აფხაზეთის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა საწარმოებში, — თქვა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **დ. გოგოხიამ**, — უდიდესი ინტერესით გრძელდება გაცნობა ღონისძიებებისა, რომელნიც შეიმუშავა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა. პარტიის ღონისძიებებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მეტი ჩაი, თამბაქო, ციტრუსოვანთა ნაყოფი, ყურძენი, დაფნის ფოთოლი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები მისცენ ქვეყანას. 1 ივლისისათვის ჩაის ფაბრიკებმა გადასამუშავებლად მიიღეს 10 ათასი ტონა ფოთოლი, გეგმით გათვალისწინებულ 1.100 ტონით მეტი. ეს შეადგენს წლიური გეგმის 50 პროცენტს, წარსულ წლებზე მნიშვნელოვნად უკეთ მიმდინარეობს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება. წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია ხორცისა — 118 პროცენტით, რძისა—110 პროცენტით.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **გ. ჩოგოვაძემ** თავისი სიტყვა მიუძღვნა დამამზადებელი ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების საკითხებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის ნედლეულის დროზე მიტანას, გადამმუშავებელ საწარმოებში. ამხ. ჩოგოვაძე ამბობს, რომ საჭიროა გაფართოვდეს ჩაის ფაბრიკების ტექნიკური ბაზა, განხორციელდეს ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობა მთელ რიგ რაიონებში, გაუმჯობესდეს ჩაის ხარისხი. მან დააყენა საკითხი, რომ მზადდებოდეს ჩაის მრეწველობისათვის მეჩაიე კოლმეურნეთაგან, რომელნიც გადამუშავების სეზონში იმუშავებენ ფაბრიკებში, ხოლო შემდეგ იშრომებენ კოლმეურნეობებში.

— ღონისძიებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა შეიმუშავა და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება ამ პლენუმზე, — აღნიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. **მ. კუჭავამ**, — ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა ხალხმა. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება მიაჩნიათ მათი კეთილდღეობისათვის, საკოლმეურნეო წყობილების აყვავებისათვის, სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის, კომუნისტური პარტიის ზრუნვის ახალ მკაფიო გამოვლენად.

ამხ. კუჭავამ დაწვრილებით ილაპარაკა დიდ ამოცანებზე, რომლებიც დგას რესპუბლიკის წინაშე დამზადების ახალ წესთან დაკავშირებით. მან პლენუმის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საჭიროა მთელი დამამზადებელი ქსელის მუშაობის ზუსტი ორგანიზაცია, დამამზადებელი, გამსაღებელი და სავაჭრო სისტემის ზედმეტი რგოლების შემცირება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **მ. ჩუბინიძემ** თავისი გამოსვლა მიუძღვნა რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრის დაცვის, მინდორსაცავ ნარგავთა შექმნის საკითხებსა და ნიადაგეროზიისა და ხრამების წარმოქმნის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს.

ამ დიდმნიშვნელოვან სამუშაოთა შესრულება დაეხმარება კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს უფრო სრულად და უკეთ აითვისონ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურებისათვის მიწის მასივები, მიიღონ უხვი მყარი მოსავალი.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ**.

პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება და მიიღო გადაწყვეტილება პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ. (საქდესი).

პატარა ქარხნის მაჯისცემა

— სკოლიდან? — კითხულობს დამბვ. დური.

— სკოლიდან, — უპასუხებს მოსულ...

ასე ავსება ქარხანა „ელექტროგამშვების“ საამქროები სკოლის მერხადან მოსული ახალგაზრდებით. აქ ყველა და ყველაფერი ახალგაზრდაა —დაზგები და ადამიანები, მუშები და ტექნიკოსები, ინჟინრები და ხელმძღვანელი მუშაკები. ისინი ცოტა ხნის წინათ ისხდნენ სკოლისა თუ უმაღლესი სასწავლებლის მერხებზე.

რომელ საამქროშიც უნდა შეიხედოთ, ყველგან გუგუნებენ დანადგარები. დაზგებს, ჩარხებს ჭაბუკები და ქალიშვილები დაპატრონებიან.

ეს ქარხანა სულ სამიოდე წელს ითვლის. მას კედლებზე ხარაჩოები ჯერ კიდევ არ მოუხსნიათ, ეზო სავსეა საშენი მასალებით. იზრდება კოლექტივი, იზრდება ქარხანაც...

დაზგა და წიგნი, წიგნი და ჩარხი... მათზე სწავლობენ ახალგაზრდები, და ამ შრომათ და სწავლით ყალიბდება მათგან საქმის ნამდვილი მცოდნე, კომუნიზმის ჭეშმარიტი მშენებელი ადამიანები.

„ქარხნის ვარსკვლავი“—ასე უწოდებენ ახალგაზრდა მუშას მზია სარბილაძეს. იგი გასულ წელს ექსკურსიაზე მოიყვანეს სკოლიდან. მან გულდასმით დაათვალიერა ყველა დაზგა, ყველა ჩარხი, ნახა შრომის პროცესები და აქვე გადაწყვიტა სამწიფის ატესტატის მიღების შემდეგ აუცილებლად აქ, ამ ახალგაზრდული ქარხნის შრომის ფერხულში ჩაბმულიყო. ასეც მოიქცა. მან დამსახურებულად მიიღო ოქროს მედალი სიმწიფის ატესტატთან ერთად და ეწვია ქარხანას. არც სწავლის გაგრძელების სურვილი განელებია. იგი ემზადება საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს განყოფილებაზე შესასვლელად.

— ჭაბუკურ გულს, ჯანღონით სავსე ხელებს როგორ შეუძლია იყვნენ უმოქმედონი, — ამბობს სატვიფრომექანიკური საამქროს მოწინავე მბურღავი გ. სულაძე. მას ყველა იცნობს, მოკლე დროში ყველა ამხანაგის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

მნიშვნელოვან შრომითს წარმატებებს აღწევს მე-11 ბრიგადის ხელმძღვანელი მბურღავი ლეონა ესაკია. იგი გასულ წელს მოვიდა ქარხანაში საშუალო სკოლის ატესტატით. მალე მიიპყრო ქარხნის მთელი კოლექტივის ყურადღება, როგორც ნიჭიერმა, ენერგიულმა და თავისი საქმის საუკეთესო მცოდნე ახალგაზრდამ. ლეილას მაგალითს მიბაძეს მისმა თანაკლასელებმა მახარე ბარნოვმა და გრეტა ნოზაძემ...

— ადვილა როდია მუყაითად იშრომო და წარმატებითაც ისწავლო. მაგრამ ეს საკითხი საუკეთესოდ არის მოგვარებული ჩვენს ქარხანაში,— გვეუბნება ქარხნის მოწინავე კომკავშირელი გილდა სალთულციშვილი.

ჭაბუკები და ქალიშვილები კარგად ათავსებენ სწავლასა და შრომას. წარმოების ნოვატორები — ნ. ელისაბედაშვილი, გ. გაგნიძე, ნ. ცისკარიშვილი, გ. გრიგოლაა, ს. მახარაძე და სხვები დღის პირველ ნახევარს ქარხნას ჩარხებთან და დაზგებთან ატარებენ. დღის მეორე ნახევარში ისინი შეგიძლიათ ნახოთ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფართო აუდიტორიებში ან რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკის ნათელ დარბაზებში.

მათ უკვე დაუმთავრდათ სესიები. გახარებული დაუბრუნდნენ თავიანთ საყვარელ საამქროებს. აქ მათ დახვდათ მეგობრული სითბო და საყვარული. ქარხნის კოლექტივი და კომკავშირული ორგანიზაცია ყოველმხრივ უწყობენ ხელს სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობას. ლ. ლაშქარაშვილი, ნ. კობაიძე, ლ. წერეთელი და სხვები გაორკეცებული ენერგიით შრომობდნენ, რათა სესიებიდან დაბრუნებულნ მეგობრებისათვის სასახარულო საწარმოო მიღწევები დაეხვედრებინათ.

უფრო მეტი სიცოცხლე და სახარული შეაქვთ ახალგაზრდა რაციონალიზატორებს საამქროების ცხოვრებაში. ისინი მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. ცდილობენ რაც შეიძლება მეტი შრომატევადი პროცესების მექანიზაცია მოახდინონ. ესენი არიან ი. ალექსაძე, ო. პეტრიაშვილი, დ. ხომასურიძე, შ. გორგოძე და სხვ. ესინი მუდამ ახლის ძიებაშია არიან. ამწყობი საამქროს უფროსი შ. გორგოძე ორი წელია რაც აქ მუშაობს და უკვე ავტორია ხუთი რაციონალიზატორული წინადადებისა, რითაც სახელმწიფოს 105 ათასი მანეთის ეკონომია მისცა. შოთას არც სხვა ამხანაგები ჩამორჩებიან.

უყურებთ ამ ბიჭი ჭაბუკებსა და ქალიშვილებს და გჯერათ, რომ მათ წინ ფართო შემოქმედებითი ასპარეზია გადაშლილი.

ასეთია ამ პატარა ქარხნის და მისი ახალგაზრდობის მაჯისცემა.

ლ. გამცემლიძე.

34.400 კილომეტრი 48 ნახევარ საათში

თვითმფრინავ „ტუ—114 დ“-ის გადაფრენის რუკა

ახალი ფურცელი საამაყო ავიაციის ისტორიაში

„პრავდის“ 9 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა მასალები საბჭოთა ავიაციის უახლესი თვალსაჩინო მიღწევის შესახებ.

ამ დღეებში სამგზავრო თვითმფრინავით „ტუ-114დ“, რომელიც კონსტრუირებულია გენერალური კონსტრუქტორის ა. ნ. ტუპოლევის მიერ, განხორციელდა ზეშორი ჩქარი გადაფრენა.

მთელი გადაფრენა, შუალედ დაშვებათა ჩათვლით, გრძელდებოდა 77 საათს. ამ დროიდან თვითმფრინავი ჰაერში იმყოფებოდა 48 საათსა და 30 წუთს და საათში 710 კილომეტრი საშუალო სიჩქარით, 10.000-12.000 მეტრის სიმაღლეზე, დაფარა 34.400 კილომეტრი მანძილი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება დედამიწის გარშემო გზის სიგრძეს მოსკოვის პარალელით.

გაფრენა მოხდა შემდეგი მარშრუტებით:

1. მოსკოვი — კუნძული დიქსონი — ტიკი — ტაიგონოსის კონცხი — ხაბაროვსკი — ვლადივოსტოკი. მანძილი 9.000 კილომეტრი.

2. ვლადივოსტოკი — ამურის კომსომოლსკი — კამჩატკის პეტროპავლოვსკი — ტაშკენტი. მანძილი 8.753 კილომეტრი.

3. ტაშკენტი — სტალინაბადი — ფრუნზე-ალმა-ატა — ომსკი — კუნძული დიქსონი — არანგელსკი — მინსკი. მანძილი 8.050 კილომეტრი.

4. მინსკი — ლენინგრადი — ტალინი — რიგა ვილნიუსი — კიევი — კიშინიოვი — თბილისი — ერევანი — ბაკო — აშხაბადი — როსტოვი — მოსკოვი. მანძილი 8.597 კილომეტრი.

თვითმფრინავის შუალედი დაშვება მოხდა სამჯერ — ვლადივოსტოკში, ტაშკენტსა და მინსკში. თვითმფრინავმა „ტუ-114დ“ გადაუფრინა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის თხუთმეტსავე დედაქალაქს. თვითმფრინავის მატერიალური ნაწილი, ძრავები და მოწყობილობანი კარგად მუშაობდნენ. მთელი გაფრენის მანძილზე საიმედო იყო გარე და შიდა კავშირი.

გაფრენა განახორციელა ეკიპაჟმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ხომალდის მეთაური ვ. კ. ბობრიკოვი; შტურმანი ნ. ს. ზაცეპა; წამყვანი ინჟინერი ნ. გ. ფუკოვსკი; მეორე მფრინავი ვ. ს. კიპელკინი; ბორტრადისტი ვ. ს. პოპოვი. გადაფრენას ხელმძღვანელობდა ა. ს. ბლაგოვეშჩენსკი.

თვითმფრინავის ბორტზე იმყოფებოდა 24 მგზავრი.

გადაფრენა ალაგ-ალაგ რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში ხდებოდა, ელჭეჭის ფრონტების გადალახვით, ნაკლებად ორიენტირებული ადგილებისა და წყლის სივრცეების თავზე. გადაფრენის მითითებული მარშრუტი ზუსტად იყო შესრულებული.

ერთდროულად თვითმფრინავ „ტუ-114დ“-ის მეორე ეგზემპლარით განხორციელებულ იქნა ძირდაუშვებელი გადაფრენა მოსკოვი — ბაიკალის ტბის რაიონი — მოსკოვი 9.600 კილომეტრი საერთო მანძილით, 740 კილომეტრი საშუალო სიჩქარით. ამ ხომალდის მეთაური იყო მფრინავი ნ. ნ. ხარიტონოვი.

* * *

„ტუ-114დ“ მძლავრი, ლამაზი, ჰარმონიული ფიგურის საჰაერო ხომალდია. იგი განეკუთვნება აკადემიკოს ა. ნ. ტუპოლევის ხელმძღვანელობით კონსტრუქტორთა კოლექტივის მიერ შექმნილ ცნობილ თვითმფრინავთა ოჯახს. იგი ჰგავს „ტუ-104“-ს, მაგრამ უფრო დიდია და არა რეაქტიულტურბინიანია, არამედ ხრახნტურბინიანია.

საგულისხმოა, რომ ამ ხომალდისათვის წარმოდგენილი სხვადასხვა მარშრუტიდან შერჩეულ იქნა ყველაზე რთული, ხანგრძლივი და საინტერესო, რასაც მეტყველებენ ზემოაღნიშნული მარშრუტები და აქ მოთავსებული გადაფრენის რუკა. რამდენიმე საათში თვითმფრინავმა მგზავრები გადაატარა სუბტროპიკებიდან ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეზე.

ბორტზე ყველაფერი ნორმალურად იყო, რიგზე მიდიოდა საცდელი გადაფრენისათვის დამახასიათებელი ცხოვრება. კომფორტაბელურ კაბინებში, — წერს „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტი ვ. ვავილოვი, — მგზავრებად იმყოფებოდნენ ინჟინრები და ტექნიკოსები, რომლებიც სწავლობდნენ ყოველ დეტალს. თვით სამგზავრო კაბინა დაყოფილია სამ კარგად მოწყობილ სალონად. არის სამზარეულო-ბუფეტი; გამომკვლევი სპეციალისტები შეუნელებლად ამოწმებდნენ ყველაფერს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მგზავრი არ დაიჭანცოს, და მისთვის ყველაფერი კარგად იყოს მოწყობილი.

კორესპონდენტი წერს, რომ „ტუ-114დ“-ით ფრენა ძალიან სასიამოვნოა, დაღლას ხელ არა გრძნობ, მთელ მანძილზე არ გგიგვრძნია რყევა.

ამ ახალი თვითმფრინავის შექმნით და მისი წარმატებით გამოცდით ჩვენი სამამულო ავიაციის ისტორიაში კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაიწერა.

სოფლების ელექტროფიკაცია

წალკა. (საკ. კორ.). რაიონში ყოველწლიურად იზრდება ელექტროფიცირებული სოფლების რიცხვი. შარშან ელექტროფიცირებულ იქნა სოფლები ბეშთაშენი, ქარიაქი და ქვემო ხარაბა. წელს გათვალისწინებულია ელექტროენერგია მიეცეს 6 სოფელს და წალკის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობას.

ელექტროენერგიას წელს პირველად მიიღებს სოფელ სანთის კოლმეურნეობა. დამბალჰესიდან სოფლამდე 3,3 კილომეტრზე უკვე გაყვანილია ელექტროხაზი. ამჟამად მიმდინარეობს შიდასასოფლო ხაზების გაყვანა.

ბავშვთა საზაფხულო დასვენება

ცაგერი. (საკ. კორ.). მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. ზაფხულობით მშრომელთა ბავშვებისათვის ეწყობა ადგილობრივი ბანაკები, სადაც კულტურულ დასვენებასთან ერთად ბავშვები აწყობენ ლაშქრობებს მშობლიური მხარის შესასწავლად.

წელს ცაგერის რაიონიდან 80 პიონერი დაისვენებს ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებზე. განათლების მუშაკთა კავშირის ხაზით ხუთი ბავშვი გაიგზავნება ქვიშხეთში. ლაჯანურჰესის მუშა-მოსამსახურეთა 30 ბავშვი უკვე გაიგზავნა აფხაზეთის კურორტებზე. ახლო ხანებში კიდევ გაიგზავნება 60 ბავშვი.

კარგ მაგალითს იძლევიან ლასურიამისა და ცაგერის კოლმეურნეობები, რომლებიც მოწინავე კოლმეურნეთა ხუთ-ხუთ ბავშვს დასასვენებლად თავიანთი ხარჯით გზავნიან.

მივაწოდოთ მომხმარებელს მეტი და მაღალხარისხოვანი ავეჯი

არ სრულდება გეგმა, უშვებენ დაბალხარისხოვან პროდუქციას

სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის ავეჯის საამქრო მოსახლეობას და დაწესებულებებს დაბალხარისხოვან ავეჯს აწვდის. შარშან გამოშვებული პროდუქციის დიდი ნაწილი უსტანდარტო, დეფექტიანი იყო, ამიტომ სავაჭრო ქსელმა იგი არ მიიღო.

აღმაშფოთებელი მდგომარეობაა წელსაც. საავეჯო საამქრომ (გამგე გ. ცაბუტაშვილი) ხუთთვეში გეგმით გათვალისწინებული 145 ათასი მანეთის ნაცვლად 132 ათასი მანეთის ღირებულების ავეჯი გამოუშვა. საამქრო ცუდად მარაგდება მასალებით. შარშან ადგილობრივმა მრეწველობამ 190 კუბმეტრის ნაცვლად 133 კუბმეტრი სამასალე მერქანი დაამზადა, აქედან საავეჯო საამქროს მხოლოდ 48,8 კუბმეტრი მოხმარდა. წელს ადგილობრივმა მრეწველობამ 200 კუბმეტრი მრგვალი ხე-ტყე უნდა დაამზადოს, მაგრამ ჯერჯერობით საქმეს არც შესდგომიან.

საავეჯო საამქროს მუშაობას ხის საშრობის უქონლობაც აბრკოლებს, დახერხილი მასალა ველისციხეში მიაქვთ გასაშრობად, რაც დიდ ხარჯებს იწვევს. ჯერ კიდევ 1953 წელს დამტკიცდა წნორში ორკამერიანი საშრობის შენებლობის პროექტი. 1955 წელს საშრობის მშენებლობა სატიტულო სიაში იქნა შეტანილი, მაგრამ საჭირო დანადგარების უქონლობის გამო მშენებლობა არ დაწყებულა და გამოყოფილი 96 ათასი მანეთი აუთვისებელი დარჩა.

ამის შემდეგ ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ (დირექტორი გ. შუშტაკაშვილი) პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის უქონლად დაიწყო საშრობის მშენებლობა, რაზეც 10 ათას მანეთამდე დაიხარჯა. მაგრამ უგეგმოდ აშენებული საშრობი არ გამოდგა და იქ ავტოსარემონტო სახელოსნო მოაწყეს.

საავეჯო საამქროში იარაღების შეძენისათვის არ ზრუნავენ. არა აქვთ კოტასაჭრელი და თირის ხერხი. საამქროში სხვადასხვა სახის ოთხი დაზგა დგას, მაგრამ დანების უქონლობის გამო ზოგიერთი არ მუშაობს.

უხეშად ირღვევა შრომის კანონი. თითქმის ყველა ხელოსანს თითო მოწაფე ჰყავს. ბევრი მათგანი, მაგალითად, ჯ. კაკაშვილი, ჯ. მოლაშვილი და გ. ჩატელი ერთი წელია მუშაობენ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მათთვის ხელფასი არ მიუციათ.

საამქროს შენობა რემონტს საჭიროებს, სახურავში წვიმა ჩამოდის, კედლები შესათეთრებელია.

ყოველივე ამის შედეგად გეგმების შეუსრულებლობასთან ერთად მკვეთრად გაუარესდა პროდუქციის ხარისხი. საამქროში ახლაც დგას 1953-55 წლებში დამზადებული 6 ცალი დივანი, რომლებიც საწყობს ჯერ არ გასცილებია და რემონტს მოითხოვს. გასული წლის 16 ნოემბერს წნორის რუსულ საშუალო სკოლას მიჰყიდეს კარადები, რომლებიც მალე გაფუჭდა. 1956 წელს წნორის კოოპერატივის მაღაზიამ ამ საამქროდან 15 დივანი გაიტანა სარეალიზაციოდ, მაგრამ მომხმარებელმა ისინი არ მიიღო, ამიტომ ნაწილი საამქროს უკან დაუბრუნდა, აქედან ერთი დივანი დღესაც შესაკეთებელია, ხოლო ხუთი მაღაზიებსა და საწყობებში აწყვია — დაბალხარისხოვანია და არ იყიდება. ადგილმრეწველობის ხელმძღვანელები კი გადამჭრილ ზომებს არ იღებენ საავეჯო საამქროში მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

გ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი,

ი. ბალიაშვილი,
რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის“ თანამშრომელი.

ჭიანურდება ავეჯის ფაბრიკის მშენებლობა

მშრომელები სამართლიან საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ რუსთავის სავაჭრო ქსელში არ არის მაღალხარისხოვანი, გემოვნებით დამზადებული ავეჯი. განსაკუთრებით ძნელი საშოვნელია ტანსაცმლისა და წიგნების მაღალხარისხოვანი, მოხდენილი კარადები, სერვანტები, სასადილო მაგიდები, მონიკელებული საწოლები, გრეხილი ავეჯი.

სამაგიეროდ ავეჯის მაღაზიებში კარგა ხანია აწყვია სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანილი და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მიერ დამზადებული ძვირად ღირებული, მაგრამ დაბალხარისხოვანი წიგნის საწერი მაგიდები, ტანსაცმლის კარადები.

შეუწყნარებლად ჭიანურდება რუსთავის ავეჯის ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც 1954 წელს დაიწყო. ფაბრიკა შარშან იანვარში უნდა გადაეცათ საექსპლოატაციოდ, მაგრამ დღესაც არ არის დამთავრებული. ავეჯს დაუმთავრებელ, მოუწყობელ სათავსში ამზადებენ, რაც უარყოფითად მოქმედებს ხარისხზე.

ფაბრიკის მშენებლობას ამიერკავკასიის ტრესტ მეტალურგმშენის „ქიმმრეწვმშენის“ სამმართველო (მმართველი კ. უკლება) აწარმოებს. თანხები და მასალა არის, მაგრამ მშენებლობა მაინც შეუწყნარებლად ჭიანურდება. საამქროების ერთი ნაწილი უხარისხო მასალისაგან არის აგებული და ინგრევა.

მშენებლობის დაჩქარების მიზნით ადგილმრეწკომბინატის საავეჯო წარმოების ხელმძღვანელმა დ. ხაჩიძემ მოხსენებითი ბარათით მიმართა მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ი. ვიშნიაკოვს, რომელმაც ხაჩიძის სქმიან წერილს ბიუროკრატული რეზოლუცია დაადო და გაუგზავნა ადგილმრეწკომბინატის დირექტორს ა. ასლანიშვილს. აი რას წერს იგი: „ა. ასლანიშვილს. ვინ დაავალა ხაჩიძეს წეროს მოხსენებითი ბარათი დირექტორის გარეშე. გთხოვთ მომელაპარაკოთ. ვიშნიაკოვი“.

ჩვენ არ ვიცით, რა მოილაპარაკეს მათ, მაგრამ ერთი კი ცხადია — ავეჯის ფაბრიკის მშენებლობა შეუწყნარებლად ჭიანურდება.

ვ. გოზალიშვილი.

დავიცვათ ჩვენი ქვეყნის მშვენება

თაობიდან თაობაზე გადასაცემად

უკანასკნელ საუკუნეებში, განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, დედამიწაზე თანდათანობით საგრძნობლად შემცირდა მცენარეულობა, მნიშვნელოვნად გაიჩეხა ტყეები.

ჩვენშიც დაუნდობლად იჩეხებოდა და დღესაც იჩეხება ძვირფასი ტყეები, მიუხედავად იმისა, რომ ტყის არაწესიერ ჩეხას თან სდევს: ტყის აღმოცენება-განახლების შეწყვეტა, უძველესი დროის სახეების (ფლორის და ფაუნის წარმომადგენლების) მოსპობა, ქედების გატიტვლება, ნიადაგის ჩამორეცხვა, საშიში და მავნე ნიაღვრების წარმოშობა. ტყის არაწესიერი ჩეხა იწვევს წყაროების დაშრობას, მდინარეებში წყლის მკვეთრად შემცირებას და ა. შ. ტყეები დაბლობებში მდებარე მოსავლიან ველებს იცავენ ნიაღვრებისა და მეწყერებისაგან.

ჯერ კიდევ 1933 წელს ბუნების დამცველთა პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე დოქტორ სოკოლოვსკის მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ აბასთუმნის უძვირფასეს კლიმატურ კურორტზე მის ირგვლივ ტყეების გაჩეხის გამო ქარის ქროლის საშუალო წლიურმა ძალამ ერთი ბალით იმატა.

იმავე ყრილობაზე მოყვანილი იყო ცნობა, თუ ბოლო ხანებში რა სერიოზული შედეგები მოსდევს ამიერკავკასიაში ნიაღვრებს, რაც გამოწვეულია მთის ტყეების გაუმართლებელი ჩეხით.

ტყეების განადგურება იწვევს ბუნების ძირფესვიანად შეცვლას, სასარგებლო ნადირსა და ფრინველს ესპობა მისთვის აუცილებელი საკვები და თავშესაფარი. მაგალითად, თელავ-ყვარლის ყოფილ ნაკრძალში გაიჩეხა ველური მცენარეულობა: ასკილი, კუნელი, მაყვალი, ღიჭი და სხვ.

თელავ-ყვარლის ნაკრძალი ამჟამად გაუქმებულია და უძვირფასესი სახეობის ფრინველი — ძველი კოლხეთის ხოხობი სრული მოსპობის საშიშროების წინაშე დგას. საჭიროა აღნიშნული ნაკრძალის ხელახლა მოწყობა ხოხბის მოსამრავლებლად.

ჩრდილოეთ კავკასიის ნაკრძალში მოსპობილია დომბა (ზუბრი), რომლის ჯოგები ძლიერ შემცირდა თვითმპყრობელობის დროს. დომბის დამცველთა საზოგადოების IV საერთაშორისო ყრილობაზე პოზნანში 1929 წელს წამოყენებულ იქნა წინადადება, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მონადირეთათვის დაეკვეთათ დომბის ხბოების დაჭერა, რათა საზღვარგარეთ გაეყვანათ მოსამრავლებლად. მაგრამ საკითხი მოხსნილ იქნა, რადგან საზოგადოების პრეზიდენტს დოქტორ კ. პრიმელს ჰქონდა ცნობა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მთა ალოუზე უკანასკნელი დომბა მოკლეს 1927 წელს.

ასეთივე ბედი მოელის ჩვენს კეთილშობილ ირემს, თუ მის დასაცავად უფრო გადამჭრელი ზომები არ იქნა მიღებული.

ბიზონები ამერიკაში, ხოლო ანტილოპები, ზებრები და სპილოები აფრიკაში სრული მოსპობის გზაზე იყვნენ დამდგარი, რომ მათ დასაცავად დიდი ნაკრძალები არ მოეწყოთ, სადაც ამჟამად ისინი თავისუფლად მრავლდებიან.

ჩვენში არსებულმა ლაგოდეხის ნაკრძალმა მოსპობას გადაარჩინა კახეთის უძველესი ფლორა-ფაუნის წარმომადგენლები. ნაკრძალში დაცულია ჯიხვი (რომელიც დედამიწის ზურგზე მოსპობილია ყველგან, გარდა კავკასიონის ქედისა), არჩვი, შველი, ყვითელგულა კვერნა, შურთხი, როჭო და სხვ.

ნათელია, რომ საქართველოს ტყეების, ნიადაგების, ფლორისა და ფაუნის, მდინარეებისა და წყაროების მდგომარეობა მოითხოვს, რომ სათანადო ზომები იქნას მიღებული ტყეების გაუმართლებელი ჩეხის წინააღმდეგ.

ევროპასა და ამერიკაში ტყეების მოსპობის შედეგად ბევრგან დაშრა წყაროები. ედუარდ ნეის მოყავს ცნობა, რომ პროვანსში ზეთისხილის ტყეების გაჩეხის შედეგად წყაროები დაშრა. ქ. ორლეანის მიდამოების ფერდობებზე ტყეების გაჩეხვამ გამოიწვია ჭების დაშრობა, რის გამო ქალაქისათვის წყალი მდინარე პატარა ლუარას სათავიდან გაიყვანეს. ელიზე რეკლიუს მოყავს ცნობა, რომ ქ. ტუნისი მომარაგებული იყო წყაროების წყლით, მაგრამ ისინი დაშრა მეზობელ გორაზე ტყის გაჩეხის შედეგად. ალჟირში ტყეების მოსპობას თან მოჰყვა წყაროების დაშრობა.

საერთოდ დამტკიცებულია, რომ ტყეებსა და წყარო-მდინარეებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს; სადაც კი ტყეები მოისპო, წყაროები დაშრა, მდინარეები დაპატარავდა. დადასტურებულია ისიც, რომ ტყეები გვალვის დროს ამარაგებენ წყაროებს იმ წყლით, რაც წვიმის დროს შემოინახეს.

ნატახტარ-ბულაჩაურის წყლის შემცირება, უდავოა, დაკავშირებულია წყალსადენის მახლობლად ტყეების გაჩეხასთან.

ჩვენში ყოველწლიურად ათასობით ნორჩი ნაძვის ხე იჭრება ბავშვებისათვის „ნაძვის ხის“ დღესასწაულის გასამართავად, მაშინ როცა ისეც დაზიანებულია ჩვენი წიწვიანი ტყეები.

საეკლესიო დღესასწაულთან („ბზობა“) დაკავშირებით იჭრება ისეც მოსპობის გზაზე დამდგარი უძვირფასესი მცენარე — ბზა.

ჩვენში ბევრგან მოსახლეობა საჭონელს ტყეში ერეკება. ასეთ პირობებში ზედმეტია ვიფიქროთ ტყის განახლებაზე.

აგურის, კრამიტის, თიხის ჭურჭლის, კირის გამოწვა სოფლად ხდება შეშით და ამისათვის იყენებენ ძვირფას სამასალე მერქანს, რაც დაუშვებელია.

სოფლის მოსახლეობა ძველთაგანვე დაუნდობლად სპობს ძვირფას ხის ჯიშებს — კაკალს, ბზას, წაბლს, თელას და სხვ. ამ ძვირფასი ხეების გადასარჩენად საჭიროა მათი ნაკრძალების მოწყობა.

საჭიროა ჩვენში გაუქმებულის სანაცვლოდ ხელახლა გამოიყოს შესაფერისი ნაკრძალი ველური მცენარეულობისა.

საქართველოში ვაკის ტყე-ჭალები დიდი ხანია მოსპობილია. დღეს ტყის ჭრა მიმდინარეობს უმთავრესად მთიან, ძნელად მისადგომ უბნებში, სადაც არც ერთი ხე არ უნდა მოიჭრას უმიზეზოდ.

ტყის ჭრა მიმდინარეობს ზემო და ქვემო სვანეთში, რაჭაში, სამხრეთ ოსეთში, იმერეთში, აჭარაში და ადიგენის კვანძზე. ასევე იჭრება ტყეები, როგორც ნებართვით, ისე უნებართვოდ, ახმეტისა და თიანეთის რაიონებში, ფასანაურში, სურამში და ა. შ.

საქართველოში ამჟამად არსებული ნაკრძალები ვერ ასახავს ჩვენი ქვეყნის ფლორასა და ფაუნას. ამიტომ საჭიროა, გარდა არსებულისა, სრულ ნაკრძალთა გამოყოფა. ასეთებად უნდა მიეჩნიოთ: ზემო და ქვემო სვანეთი, ბორჯომ-ბაკურიანი, აბასთუმანი და საირმე. ასევე საჭიროა აღდგენილ იქნას სახეობე ნაკრძალი ნაცვლად გაუქმებული თელავ-ყვარლის ნაკრძალისა.

უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა ყველა ნაკრძალი დავიცვათ ისევე, როგორც უნდა დავიცვათ უძველესი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები.

აგრონომი. ალ. კვალიაშვილი.

სანამ გვიან არ არის

როდესაც ასე მწვავედ დაისვა ჩვენი რესპუბლიკის ფლორისა და ფაუნის დაცვის საკითხი, არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ტყეებით ღარიბი კუთხე საქართველოში. ეს გახლავთ მარნეულის რაიონი. იგი თითქმის უტყეოა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ არახლოს ხიდიდან წითელ ხიდამდე მდინარეების ხრამისა და ბერდუჯის ნაპირებზე შემორჩენილ ვერხვისა და ტირიფის ჭალებს, რომლებიც, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს შეუბრალებლად ნადგურდება.

ამ ჭალებში ჯერ კიდევ თხუთმეტიოდე წლის წინათ მრავალი იყო გარეული ღორი, კურდღელი ხოხობი, გნოლი, ქედანი, გვრიტი, იხვი და სხვ., ხოლო ხრამი და ბერდუჯი ყველაზე თევზმრავალ მდინარეებად იყვნენ ცნობილი საქართველოში. მაგრამ გაუფრთხილებლობისა და არაწესიერი მოქცევის გამო ყველაფერი ეს მოისპო. სამაგიეროდ ბრაკონიერები გამრავლდნენ და წელიწადის ყოველ დროს ანადგურებენ ამ რაიონის მშვენებას, ტყეს, ნადირს, ფრინველსა და თევზს.

ამ მდგომარეობას სასწრაფოდ უნდა მიექცეს ყურადღება, სანამ კიდევ გვიან არ არის.

ს. იორამაშვილი.

თბილისი. გაცხოველებით მიმდინარეობს სამინაო მშენებლობა ვაკეში. ბარნოვის ქუჩაზე შენდება 60-ბინიანი სახლი ბულაჩაურის წყალსადენის მუშაკებისათვის. ამ სახლის მშენებლობაზე შრომობს ბევრი ახალგაზრდა მშენებელი, რომლებიც წარმატებით ასრულებენ თავიანთ საწარმოო დავალებებს. მშენებლები დგანან შრომით ვახტზე მშობლიური ქალაქის 1500 წლისთავის აღსანიშნავად. **სურათზე:** ახალგაზრდა მშენებლები (მარცხნიდან მარჯვნივ): ვლადიმერ ფრიდონიშვილი, ვიქტორ კარსანოვი, ალექსეი გრიჩკინი და ბრიგადირი ვლადიმერ ხმიადაშვილი 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე ბარნოვის ქუჩაზე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა. (საქფესის ფოტოქრონიკა).

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება

პარიზი, 10 ივლისი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გამოაქვეყნა განცხადება 14 ივლისის ეროვნული დღესასწაულის — ბასტილიის აღების დღის გამო. აღნიშნავს რა, რომ 14 ივლისი ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი თარიღია ფრანგი ხალხის ისტორიაში, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროა აცხადებს, რომ საფრანგეთის დემოკრატიული ორგანიზაციები მუდამ მკაფიოდ გამოხატულ რესპუბლიკურ ხასიათს აძლევდნენ ამ დღესასწაულს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მთავრობას განზრახული აქვს სამხედრო ხასიათი მისცეს დღესასწაულს: მეამბოხე სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც აჯანყდნენ საფრანგეთის წინააღმდეგ, ჩამოვლენ პარიზში, რათა მონაწილეობა მიიღონ პარადში, ხოლო 14 ივლისის მასობრივი სახალხო დემონსტრაცია პარიზში აკრძალულია.

საფრანგეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა მოუწოდებს ყველა რესპუბლიკელს, ყველა დემოკრატს, ყველა მშრომელს 14 ივლისი გადააქციონ სამოქალაქო თავისუფლებათა, დემოკრატიისა და რესპუბლიკის დაცვის დიად დღედ. „დაე 14 ივლისი, — აცხადებს საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო, — გახდეს იმისათვის მზადების დღე, რომ რეფერენდუმის დროს ხალხმა მასობრივად უარი თქვას კონსტიტუციის რეფორმის პროექტის დამტკიცებაზე. დაე იგი (14 ივლისის დღე. — რედ.) გადაიქცეს ფრანგი ხალხის რესპუბლიკური გრძნობების მკაფიო მანიფესტაციად“.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ ამზადებენ ახალ პროვოკაციას

ბეირუთი, 10 ივლისი. (საკდესი). გაზეთი „ორიანი“ იუწყება, რომ არაბთა ფედერაციის (ერაყისა და იორდანიის ფედერაცია) პრემიერ-მინისტრმა ნური საიდმა შეიმუშავა გეგმა, რომელიც ითვალისწინებს „სირიის რაიონის ჩამოშორებას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისგან და მის შეერთებას არაბთა ფედერაციასთან“.

ეს გეგმა, წერს გაზეთი, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს სელვინ ლოიდს შეუთანხმეს ლონდონსა და ანკარაში ნური საიდის ყოფნის დროს. ნური საიდის ახალი გეგმა, ხაზგასმით აღნიშნულია ცნობაში, ითვალისწინებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონზე ზეგავლენის მოხდენას თურქეთისა და არაბთა ფედერაციის მხრივ, რომლებმაც უკვე დახურეს თავიანთი საზღვრები სირიის რაიონთან და დაიწყეს ჯარების თავმოყრა მის საზღვარზე.

იტალიის პარლამენტში

ახალი მთავრობის პროგრამა

რომი, 10 ივლისი. (საკდესი). მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფანფანი გუშინ ვამოვიდა ჯერ სენატში, ხოლო შემდეგ დეპუტატთა პალატაში და ჩამოაყალიბა ახალი მთავრობის პროგრამა. იგი შეეხო მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს, აგრეთვე ეკონომიურ პრობლემებს.

ილაპარაკა რა საშინაო პოლიტიკაზე, ფანფანმ გააცნო დამსწრეთ საკანონმდებლო ღონისძიებანი, რომლებსაც მთავრობა სახავს, კერძოდ, განაცხადა, რომ მთავრობას განზრახული აქვს მალე შეიტანოს კანონპროექტი შრომითი შეთანხმებების იურიდიული კანონიერების შესახებ. (ცნობილია, რომ ასეთ შეთანხმებებს იტალიაში მუდამ არღვევენ მეწარმეები). ახალ მთავრობას განზრახული აქვს აგრეთვე შეიტანოს კანონპროექტი ფრიული-ვენეცია-ჯულიის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ. მაგრამ ფანფანის სიტყვიდან ჩანდა, რომ მთავრობა არ აპირებს მისცეს ავტონომია იტალიის ყველა ადმინისტრაციულ ოლქს, როგორც ამას იტალიის კონსტიტუცია ითვალისწინებს.

შეეხო რა მთავრობის საგარეო პოლიტიკას, ფანფანმ აღნიშნა, რომ მისი საფუძველია „იტალიის ერთგულება ატლანტიკის პაქტისადმი“. შემდეგ ფანფანმ განაცხადა, რომ მთავრობა უარყოფს ყოველგვარ მოთხოვნას გაუქმდეს შეთანხმება „საერთო ბაზრის“ შექმნის შესახებ და, პირიქით, განზრახული აქვს აქტიურად შეუწყოს ხელი მის განხორციელებას.

შეეხო რა შემდეგ განიარაღების პრობლემას, ფანფანმ განაცხადა, რომ იტალიას „განზრახული აქვს კვლავაც მიიღოს მონაწილეობა ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში, რათა ნამდვილად მიიღწიოს განიარაღების კონტროლის შესახებ ეფექტიან შეთანხმებათა დადებას, რომლებიც უნდა შეუფარდდეს ატომგულის იარაღის გამოცდისა და სამხედრო მიზნებით ატომგულის მასალების წარმოების აკრძალვას, აგრეთვე ვალდებულებას, რომ ახალი მიღწევები გამოყენებულ იქნება მხოლოდ სამოქალაქო პროგრესისა და მშვიდობის მიზნებით“. მაგრამ ფანფანმ აგრძნობინა დამსწრეთ, რომ „ამ ამბების მოლოდინში“ იტალიის მთავრობას განზრახული აქვს განაგრძოს თავისი შეიარაღებულ ძალების რეორგანიზაცია, გაადიდოს მათი რიცხვი და აღჭურვილობა.

შეეხო რა იტალიის წინაშე დასახულ ეკონომიურ პრობლემებს, ფანფანმ აღნიშნა იტალიის სამხრეთ რაიონების ეკონომიური ჩამორჩენილობა და მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონე, მაგრამ არ წარმოუდგენია არავითარი კონკრეტული ღონისძიება ამ ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, დასჯერდა რა ბუნდოვან განცხადებას იმის შესახებ, რომ მთავრობა აპირებს განახორციელოს „კაპიტალდაბანდებათა, კერძო და სახელმწიფო ინიციატივის კოორდინაცია იტალიის განვითარების ტემპის გასაძლიერებლად, განსაკუთრებით სამხრეთისა და ჩამორჩენილი რაიონების ინდუსტრიალიზაციის დარგში“.

განიხილა რა სოფლის მეურნეობის საკითხები, ფანფანმ დუმილით აუარა გვერდი ავარარულ რეფორმას და მხოლოდ აღნიშნა, რომ მთავრობა ადგენს სამელიორაციო სამუშაოთა პროგრამას და სავალდებულოდ გახდის მას მიწათმფლობელთათვის.

თავისი გამოსვლის დასასრულს ფანფანმ მოუწოდა პარლამენტის წევრებს ნდობა გამოუცხადონ ახალ მთავრობას.

რომი, 10 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „უნიტამ“ გამოაქვეყნა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ტოლიატის განცხადება ახალი მთავრობის პროგრამის გამო. „ჩამოყალიბებულ პროგრამაში, — აღნიშნავს ტოლიატი, — ლაპარაკია ბევრ რამეზე. მარტო ერთი რამ ვერ ვიპოვე პროგრამაში: ორიენტაცია მარცხნივ. ცოტაოდენი დადებითი წინადადებანი, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში მიწათსარგებლობის შესახებ ხელშეკრულებათა გაუქმების აკრძალვა, ნაწილობრივი დათმობებია, რომლებიც აუცილებელი და სავალდებულოა დღეს იმის გამო, რომ გრძელდება ამომრჩეველთა მასების გადახრა მარცხნივ და იმ მოთხოვნების გამო, რომლებსაც აყენებენ მშრომელთა სულ უფრო ფართო ფენები. უშინაარსო, უაზრო და უარყოფითია ის ნაწილი, რომელიც საგარეო პოლიტიკას შეეხება“.

მთავრობის პროგრამას გაზეთ „ავანტის“ ფურცლებზე აკრიტიკებს სოციალისტური პარტიის მდივანი პ. ნენი.

რესპუბლიკური პარტიის მდივანმა ორონცო რეალემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რესპუბლიკელები თავს შეიკავებენ მთავრობისადმი ნდობის საკითხზე კენჭისყრის დროს.

ინდონეზიელ მეამბოხეთა ხელმძღვანელის აღიარება

ჯაკარტა, 10 ივლისი. (საკდესი). ანტარას სააგენტო იუწყება, რომ ცენტრალურ სუმატრაზე დაიკავეს ჩრდილოეთ სულავესის მეამბოხეთა ხელმძღვანელის სუმუალის ორი პირადი შიკრიკი, რომლებსაც უნდოდათ მიეტანათ მისი წერილი ცენტრალურ სუმატრაზე ამბოხების ხელმძღვანელებისათვის, რომლებიც ამჟამად ჯუნგლებში იმალებიან.

სუმუალის წერილიდან ჩანს, რომ მთავრობის ჯარების წარმატებით მოქმედების შედეგად მეამბოხენი ჩრდილოეთ სულავესზე კრიზისულ მდგომარეობაში არიან. სუმუალი აღიარებს, რომ მისი ხელქვეითი მეამბოხე ჯარისკაცები სულ უფრო ხშირად და სულ უფრო მრავალრიცხოვან ჯგუფებად ნებდებიან მთავრობის ჯარებს ან გამოდიან ამბოხების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება

მოსკოვში 10 ივლისს დაიწყო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკება საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების მომზადებასთან დაკავშირებით.

რუმინეთის დელეგაციას მეთაურობს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ბირლედიანუ, საბჭოთა კავშირის დელეგაციას — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ი. კუზმინი.

• • •

10 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ი. კუზმინმა საუზმე გამართა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად. (საკდესი).

ჟურნალი „მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემები“

ამა წლის აგვისტოს მეორე ნახევარში პრაღაში გამოვა კომუნისტური და მუშათა პარტიების ყოველთვიური თეორიული და საინფორმაციო ჟურნალი „მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემები“.

ჟურნალში გაშუქებული იქნება მარქსისტულ-ლენინური თეორიის, სსრ კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საკითხები, კომუნისტური და მუშათა პარტიების საქმიანობის გამოცდილება მათ ბრძოლაში მშვიდობისა და სოციალიზმისათვის. ჟურნალის ფურცლებზე ფართოდ აისახება საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობის, საზოგადოების განვითარებაში მეცნიერებისა და კულტურის როლის და სხვა პრობლემები.

ჟურნალი „მშვიდობისა და სოციალიზმის პრობლემები“ გამოიცემა რუსულ, ჩინურ, გერმანულ, პოლონურ, ჩეხურ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ, ესპანურ და სხვა ენებზე.

ჟურნალზე ხელისმოწერა საბჭოთა კავშირში იწარმოებს „სოიუზპეჩატის“ საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში, კავშირგაბმულობის განყოფილებებში, აგრეთვე საზოგადოებრივ რწმუნებულებთან საწარმოებსა და დაწესებულებებში.

ხელისმოწერის ფასია წლის ბოლომდე 12 მანეთი, ერთი ნომრის ფასი — 3 მანეთი. (საკდესი).



ქუთაისი. ლენინის პროსპექტი. ფოტო გ. გოგოხიასი.

ეთიოპიის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი თბილისში

თბილისში იყო ეთიოპიის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი აბებე რეტა, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მოწვევით.

მინისტრმა და მისმა თანამგზავრებმა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნ. გ. გომელაურის თანხლებით დაათვალიერეს სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი და შამპანური ღვინოების ქარხანა.

ეთიოპიელმა სტუმარმა დაათვალიერა აგრეთვე საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ გ. ი. ჩოგოვაძემ ეთიოპიის ვაჭრობის და მრეწველობის მინისტრის აბებე რეტას პატივსაცემად გამართა საუზმე.

10 ივლისს ბ-ნი აბებე რეტა სოჭში გაემგზავრა. (საქდესი).

ოპერისა და ბალეტის თეატრში

აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი ლეილა ვექილოვა და ნიკოლოზ კრასოვსკი გამოვიდნენ 5 ივლისს ბალეტ „გედის ტბაში“. ლეილა ვექილოვამ დიდი წარმატებით შეასრულა „გედის ტბაში“ ოდეტას და ოდილიას, ხოლო „ბახჩისარაის შადრევანში“ ზარემას პარტიები. წარმატება ხვდა აგრეთვე „გედის ტბაში“ პრინცის პარტიისა და „ბახჩისარაის შადრევანში“ ვაცლავის პარტიის შემსრულებელს ნიკოლოზ კრასოვსკის.

13 ივლისს მსახიობები კვლავ გამოვლენ „გედის ტბაში“.

17-18-19 ივლისს შედგება ბულგარეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სოფიის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტების დამსახურებული არტისტების კატი გეორგიევასა და დიმიტრი უზუნოვის გასტროლები. მსახიობები გამოვლენ „უვეგენ ონეგინში“, „ჯარმენში“ და სხვა ოპერებში.

20 ივლისს იხურება სეზონი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. სეზონის შუა რიცხვებში ჩვენთან დაიწყება სსრ კავშირის დიდი თეატრის გასტროლები, რომელიც გაგრძელდება 1 ოქტომბრამდე.

სპორტის ამბები

საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ბრწყინვალე გამარჯვება

10 ივლისს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დამთავრდა მსოფლიო პირველობის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში.

ამ შეჯიბრებაში საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა, რომლებიც მსოფლიოში უძლიერესებად არიან აღიარებული, საერთო მოწონება დაიმსახურეს. მათ როგორც ქალთა, ისე ვაჟთა კოლექტივებს შორის საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

ქალთა ნებისმიერი ვარჯიშების შემდეგ გამოვლინდა მსოფლიოს ახსოლუტური ჩემპიონი. ეს სპატიო წოდება და ოქროს მედალი მოიპოვა საბჭოთა ტანმოვარჯიშემ ლ. ლატინინამ.

10 ივლისს გაიმართა უძლიერესთა ექვსეულის ასპარეზობა ცალკეულ იარაღებზე მსოფლიო ჩემპიონის გამოსავლინებლად. მსოფლიოს ახსოლუტურმა ჩემპიონმა ბ. შახლინმა გაიმარჯვა ღერძზე, ორძელზე და ტაიეზე ვარჯიშში, ა. აზარიანმა — რგოლებზე ვარჯიშში, ი. ტიტოვმა — ბრჯენით ხტომებში. თავისუფალ ვარჯიშში უძლიერესი იყო იაპონელი ტანმოვარჯიშე მ. ტაკემოტა.

მსოფლიოს ახსოლუტურმა ჩემპიონმა ლ. ლატინინამ გაიმარჯვა ნაირ სიმაღლის ორძელზე ვარჯიშსა და ბჯენით ხტომებში. დიირზე ვარჯიშში ოქროს მედლები მოიპოვეს თ. მანინამ (სსრ კავშირი) და ე. ბოსაკოვამ (ჩეხოსლოვაკია). ამ უკანასკნელმა პირველი ადგილი დაიკავა აგრეთვე თავისუფალ ვარჯიშში.

„რესინგი“ — „დინამო“

11 ივლისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება ფეხბურთში საფრანგეთის „რესინგისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის. ამ შეჯიბრებამდე სტუმრებმა მოსკოვის „ტორპედოსთან“ და ლენინგრადის „ადმირალტეეცთან“ ორი მატჩიდან ორივე მოიგეს 5 : 2, 4 : 1.

ამიტომ გუშინდელი ასპარეზობისადმი ინტერესი დიდი იყო. შეხვედრას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი. პირველი ტაიმი დამთავრდა 1 : 1. შეჯიბრების მეორე ნახევარში მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა ფრედ 2 : 2 დამთავრდა.

თბილისის დინამოელებმა თამაში მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს.

დასკვნითი შეხვედრები

მოსკოვში რამდენიმე დღეა მიმდინარეობს უძლიერეს კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივების დასკვნითი შეხვედრები საბჭოთა კავშირის პირველობაზე.

11 ივლისამდე ჩატარებულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით წინ იყვნენ რიგის ოფიცერთა საოლქო სახლისა და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდები. მათ სამი ქულით ჩამორჩებიან მოსკოვის დინამოელები.

დიდი ინტერესი გამოიწვია 10 ივლისის მატჩებმა მოსკოვის „დინამოსა“ და რიგის „სპარტაკის“ გუნდებს შორის. ბოლო წუთებისათვის ანგარიში იყო 74 : 74, მაგრამ დინამოელებმა უკანასკნელ წამებში შეძლეს დაწინაურება და მოიგეს შეხვედრა 76 : 75.

თბილისის „ბურევესტნიკს“ დასაწყისში ცსკმო-სთან 10 ქულით მიჰყავდა თამაში, მაგრამ შემდეგ ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და წააგო შეხვედრა 67 : 82.

ქალათბურთელ ქალთა ასპარეზობა

თბილისში გრძელდება ჩვენი ქვეყნის ქალათბურთელ ქალთა უძლიერესი კოლექტივების დასკვნითი ასპარეზობა სსრ კავშირის პირველობაზე.

შეჯიბრების მეორე დღის შეხვედრებიდან ყურადღებას იპყრობდა მოსკოვის „სერპ ი მოლოტისა“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდების მატჩი. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ბოლო წუთებში ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა და გამარჯვეს ანგარიშით 54 : 52. დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ტრუდი“ (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (როსტოვი) 61 : 43, ლენინგრადის სკკო — „დაუგავა“ (რიგა) 34 : 30.

მესამე დღეს, 10 ივლისს, თბილისელი ქალათბურთელი ქალები ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში შეხვდნენ მოსკოვის „ტრუდს“. ორი ტაიმის შედეგი იყო 51 : 51. დამატებით დროში მოსკოველებმა შეძლეს ძალების მობილიზება და გაიმარჯვეს 58 : 53. რიგის „დაუგავასა“ და როსტოვის „ბურევესტნიკის“ შეჯიბრება დამთავრდა რიგის ქალათბურთელთა გამარჯვებით 54 : 49.

შეჯიბრება გრძელდება.

რედაქტორი პ. რატიანი.

თბილისის თეატრებში

გრიბოედოვის სახელობის — ღვთისმოსავი მარტა (პრემიერა, 8 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — ვადიმ კოზინის სიმღერისა და რომანსის საღამო (9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), **ოქტომბერი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, კიროვის სახელობის პარკი** — დამსხვრეული ოცნებანი, **ამირანი** (საზამთრო), **კომუნარების ბაღი, ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზამთრო), **თბილისი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ოდიოტი, **ისანი** (საზაფხულო) — ცხელ ცისქვეშ, **სპარტაკი** — სიმღერა პირველ სიყვარულზე, **კომკავშირელი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** (საზაფხულო) — დაუმარცხელნი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — ბედნიერი წყვილი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **ოფიცერთა სახლი** — ქორწინება ანგარიშით, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **დიდუბე** (საზაფხულო), **ვაკის პარკი, ცენტრალური კულტურის სახლი** — ჩარლი ჩაპლინის კინოკომედიები, **საქართველო** (საზაფხულო) — ზანგეზური, **კოლხიდა** (საზაფხულო), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** (საზამთრო) — შავი ზღვისაკენ, **ძერჟინსკის სახელობის** (საზაფხულო) — დედის გული, **კოლმეურნე** — კარო, **დიდუბე,** (საზამთრო), **კოლხიდა** (საზამთრო) — მომეცი ხელი, ჩემო სიცოცხლე, **ყაზბეგი** — დონ სეზარ დე ბაზანი, **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — ოთარაანთ ქვრივი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, პარტიული კომიტეტი, ადგილკომი, პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები და სტუდენტები იუწყებიან ახალი ისტორიის კათედრის გამგის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ

ალექსანდრე გიორგის-ძე ნამორაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 13, 14-VII, 8 ს. გამოსვენება 15-VII, 5 ს. სარაჯიშვილის ქ. № 3.

გრძელდება ხელმოწერა „კომუნისტის“ ყოველკვირეულ დამატება გაზეთ „სოფლის მეურნეობაზე“.

ხელმოწერის პირობები:

1 თვით — 1 მან. 20 კაპ.

5 თვით — 6 მან.

ხელმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ საქალაქო და რაიონულ განყოფილებებში, კავშირგაბმულობის კანტორებში, განყოფილებებსა და სააგენტოებში, კოლმეურნეობათა ფოსტალიონებთან და პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

შაბათს, 12 ივლისს

ჯ. ვერდი

რიგოლეტო

კვირას, 13 ივლისს დღისით

აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტის

ლ. ვექილოვას და **ნ. კრასოვსკის**

უკანასკნელი გამოსვლა

ბ. ჩაიკოვსკი

გედის ტბა

საღამოს

ზ. ფალიაშვილი

დაისი

12 ივლისისათვის აღებული ბილეთები ძალაშია 13 ივლისს, ხოლო 13 ივლისს საღამოსათვის აღებული ბილეთები ვარგისია 13 ივლისს დღისით.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სასწავლებელთა განყოფილების და პედკაბინეტის თანამშრომლები იუწყებიან საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის, მეთოდისტ

ივანე ანტონის-ძე ჩიმაკაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს. გამოსვენება 13-VII, 6 ს. ორჯონიკიძის ქ. № 83.

სამეცნიერო-ტექნიკური თემაზე

კოსმოსიდან თანამგზავრთა ეკიპაჟების დაბრუნების პრობლემები

ამ სათაურით ამას წინათ გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“ დაიბეჭდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სტალინური პრემიის ლაურეატის პ. ისაკოვის მეტად საინტერესო წერილი. ქვემოთ მოგვაქვს ამ წერილის შინაარსი.

დედამიწის საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრების წარმატებით გაშვებამ გვიჩვენა, რომ უკვე ახლა გვაქვს კოსმოსის სივრცეში ადამიანთა გაფრენის რეალური წინაპირობები. ცნობილია, რომ დედამიწის მეორე ხელოვნურ თანამგზავრზე იმყოფებოდა ცოცხალი არსება — ძაღლი ლაიკა. იმის შესახებ მონაცემების დამუშავებამ, თუ როგორ იქცეოდა და როგორ გრძნობდა იგი თავს კოსმოსში, გვიჩვენა, რომ ფრენის დროს ძაღლის ორგანიზმში არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა. მესამე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის მოცულობა და წონა ისეთია, რომ მასში თავისუფლად შეიძლებოდა ადამიანის მოთავსება.

მაგრამ თანამგზავრით კოსმოსში ადამიანის გაფრენის საკითხის დასმა ჯერ ნაადრევია. სანამ მეცნიერები და კონსტრუქტორები დაბეჯითებით იტყოდნენ: გაფრენა შეიძლება, ფრენა საშიში არ იქნება და პილოტი დედამიწაზე უვნებლად დაბრუნდებაო, საჭიროა მათ ჯერ გადაწყვეტონ მრავალი რთული ამოცანა. სანამ დადგენილ იქნება ადამიანისათვის კოსმოსში გაფრენის სრული უსაშიშრობის პირობები, საჭირო გახდება ახალი თანამგზავრების გაშვება, მათ შორის ცხოველებითაც.

ასეთ გაფრენებთან დაკავშირებული ყველაზე რთული პრობლემაა თანამგზავრთა ეკიპაჟების დედამიწაზე დაბრუნების პრობლემა. ამისათვის არსებობს ორი საშუალება: პირველი — ეკიპაჟის დაშვება დედამიწაზე თანამგზავრთან ერთად, მეორე — მხოლოდ ადამიანთა დაბრუნება. გაანგარიშებანი გვიჩვენებენ, რომ მეორე საშუალების ტექნიკური განხორციელება, როგორც ჩანს, უფრო ადვილია.

თანამედროვე ავიაციაში უკვე არის იმის დიდი გამოცდილება, თუ როგორ დატოვონ ეკიპაჟებმა თვითმფრინავი ჰაერში და უვნებლად დაეშვან მიწაზე. ბევრ ქვეყანაში შემუშავებულია კატაპულტის პრინციპზე აგებული სხვადასხვა მოწყობილობანი, რომელთა საშუალებითაც, ეკიპაჟებს შეუძლიათ დატოვონ თვითმფრინავი ფრენის მნიშვნელოვანი სისწრაფის დროსაც კი. მსგავსი მოწყობილობანი შეიძლება გამოყენებულ იქნას თანამგზავრებზეც. მაგრამ კოსმოსში ფრენის თავისებურებანი მოითხოვენ ამ საკითხის შემდგომ განვითარებას, რადგან თანამედროვე თვითმფრინავების ფრენის სისწრაფეა და სიმაღლესთან შედარებით თანამგზავრების ფრენის სისწრაფე და სიმაღლე გაცილებით უფრო დიდი.

თვითმფრინავებიდან კატაპულტის საშუალებით ადამიანთა დაშვების მთელი რიგი თანამედროვე სისტემების გამოყენებისას მიწაზე დაშვება ხდება პარაშუტებით მომარაგებული ჰერმეტიული კაბინებით. ერთი მათგანი ნაჩვენებია ქვემო სურათზე. გამოცდის დროს კაბინას რეაქტიული ძრავები აძლევენ ზებგერით სისწრაფეს. მსგავსი კაბინები უთუოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას თანამგზავრებზეც.

აკ უპირველეს ყოვლისა მოგვიხდება იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ როგორ შევამციროთ თანამგზავრსმოცილებული ეკიპაჟიანი კაბინის სისწრაფე, რომ იგი თავის მხრივ არ გახდეს თანამგზავრი და შეძლოს მიწაზე დაბრუნება. ამიტომ კაბინის გამოსროლა უნდა მოხდეს უკვე არა შედარებით მცირე პიროტექნიკური მუხტების გამოყენებით, როგორც ეს თვითმფრინავებზე ხდება, არამედ მძლავრი რეაქტიული ძრავების მოქმედებით. ასეთი ძრავების რეაქტიული წევა უნდა წარიმართოს პირუკუ, თანამგზავრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით, იმ ანგარიშით, რომ მკვეთრად შევამციროთ ფრენის სისწრაფე.

წინასწარმა გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ რაკეტის საშუალებით დამუხრუჭებას დასჭირდება ბევრი საწვავი — თითქმის იმდენივე, რაც საჭიროა ფრენის კოსმოსურ სიჩქარემდე თანამგზავრის აყვანისათვის. ახლა ასეთი საშუალებით ადამიანების დაბრუნების განხორციელებისათვის საჭირო იქნება მთელი რიგი რთული, თუმცა თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკისათვის მისაწვდომი პრობლემების გადაწყვეტა.

ერთ-ერთი პრობლემა ითვალისწინებს თანამგზავრის დამუხრუჭებას ჰაერის წინააღმდეგობის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ ატმოსფეროს ზედა ფენებში ჰაერი უკიდურესად გაიშვიათებულია, წამში დაახლოებით 8 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობის დროს დამუხრუჭება მაინც შეიძლება საკმაოდ ეფექტური იყოს. ეს დამტკიცდა პირველ საბჭოთა თანამგზავრებზე დაკვირვებებით. ატმოსფეროს ზედა ფენებში რომ ხვდებოდნენ, ისინი მნიშვნელოვნად მცირდებნენ ოავიანთ სიჩქარეს.

რა სიძნელეები იქმნება ასეთი საშუალების გამოყენებისას? — უწინარეს ყოვლისა ეს არის ეგრეთწოდებული ტემპერატურული ბარიერის გადალახვა. თუ რა შედეგი მოსდევს იმ სხეულის გახურებას, რომელიც დიდი სისწრაფით მოძრაობს ატმოსფეროს ზედა ფენებში, ეს კარგად ჩანს მეტეორიტების მაგალითით. ატმოსფეროში რომ მოხვდებიან, ისინი იწვიან. ასეთივე ბედი ეწიათ პირველ თანამგზავრებსაც, მას შემდეგ, რაც მათი ორბიტა დედამიწას მოუახლოვდა. თანამგზავრებისა და მატარებელი რაკეტის მხოლოდ მცირე ნაშთებმა, შესაძლოა, მოაღწიეს დედამიწის ზედაპირამდე.

გახურების შემცირებისათვის მთელმა რიგმა მეცნიერებმა წამოაყენეს ატმოსფეროში თანამგზავრის თანდათანობითი „ჩამოშვების“ მეთოდი. დედამიწის გარშემო მოძრაობის დროს იგი ხან უნდა შემოდიოდეს ატმოსფეროში, ხან კვლავ სცილდებოდეს მის ფარგლებს. გარსის გახურება, რაც გამოწვეულია ატმოსფეროში მისი დამუხრუჭებით, ნაწილობრივ თავიდან იქნება აცილებული ატმოსფეროს ფარგლებს გარეთ განსხვავებით. თუ ამასთან მიღწეული იქნება თანამგზავრის სიჩქარის შემცირება განსაზღვრულ სიდიდემდე, იქიდან ეკიპაჟის დაშვება შესაძლებელია განხორციელდეს იმ საშუალებათა გამოყენებით, რომლებიც უკვე ცნობილია ავიაციაში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთი მეთოდის პრაქტიკული დამუშავება კვლავ საჭიროებს დამატებითი მონაცემების მიღებას. კერძოდ, მეცნიერებმა უნდა მიიღონ ცნობები იმ ტემპერატურის შესახებ, რომელიც წარმოიშობა დამუხრუჭების სხვადასხვანაირი ინტენსივობისას სხვადასხვა პირობებში თანამგზავრის გაცივების შესახებ და ა. შ. საჭიროა აგრეთვე გადაწყდეს ეკიპაჟზე მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების საკითხი და შემუშავდეს მისგან დაცვის მოწყობილობანი. ამჟამად დადგენილია, რომ ადამიანს შეუძლია აიტანოს გარემო ტემპერატურის მოკლე ხნით აწევა ცელსიუსის 100 და უფრო მეტ გრადუსამდე. უკვე შემუშავებულია სხვადასხვა ტიპები სპეციალური ტანსაცმლისა, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს გაძლოს ცელსიუსის დაახლოებით 300 გრადუსი ტემპერატურის მქონე არეში. აქ ძოთავსებულ მეორე სურათზე ნაჩვენებია საზღვარგარეთ შექმნილი ერთ-ერთი კოსტიუმის გამოცდა მაღალ ტემპერატურიან კამერაში. პრესაში აღნიშნული იყო, რომ ეს კოსტიუმი შეიძლება გახდეს კოსმოსში ფრენისათვის დამცავი ტანსაცმლის პირველსახე.

ტემპერატურული ბარიერი ერთადერთი სიძნელე როდია, რომელიც მეცნიერთა გზაზე დგას. მეცნიერები გულმოდგინედ ეძებენ გადატვირთულობის მოქმედებისაგან ადამიანთა დაცვის ეფექტურ საშუალებებს.

მაგალითად, ამას